ყოველდღიური გაზეთი
# ახალი თაობა
akhalitaoba.ge
შაბათი – კვირა, 14 – 15 დეკემბერი, 2019 №296 (8250) ფასი: 60 თეთრი

## თბილისის „მწვანე სკოლის“ ყოფილი მოსწავლე მე-9 სართულიდან გადახტა

რა მოხდა სკოლაში და რას აბრალებენ პოლიციას


გვ.5

10 დეკემბრიდან
საქართველოს ისტორია პატარებისთვის
თამარს უამბო დედამა
წიგნი II
ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



# კალაძე „ოცნების“ წინააღმდეგ

## „დამტკიცებულ მოსამართლეებს შორის რამდენიმე ოდიოზური ფიგურაა, ეს ჩემი მოსაზრებაა“


გვ.2

## მამუკა ახვლედიანი: „ჩინჩალაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული“


გვ.3

ჩემთან ყოფილა, რამდენიმე მოსამართლე ტირილით მოსულა, რომ მათთვის იქნებ რაღაც მეშველა, როდესაც მათ დაკითხვებზე იბარებდნენ და დღეს ეს მოსამართლეები გახდნენ სასამართლოს თავმჯდომარეები!

## ნაზი ჯანეზაშვილი: „თამარ ზამბახიძე, არ გრცხვენია?!“


გვ.3

„ნადირაშვილი და ქებურია დარბაზიდან რომ გავიდნენ, თვალები ჩამილურჯდა და საშინელი სიმხურვალე ვიგრძენი“


გვ.4

## ნიკა ჩიტაძე: „აშშ-ის საელჩომ „ქართულ ოცნებას“ გაულაწუნა“


გვ.5

## გიორგი გაჩეჩილაძე: „ეს ტერაქტი და ქიმიური შეტევა იყო“

## გოგი წულაია: „გვაცხოვრებენ საბჭოთა კავშირში და გვაზეიმებენ ევროპას“


გვ.4

## შინაგან საქმეთა მინისტრმა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელთან გამოსამშვიდობებელი შეხვედრა გამართა


გვ.2

ISSN 1987-9385
9 771987 938006

2 ნიკა გვარამია პროკურატურაზე: „მრცხვენია, რომ ოდესღაც იმ სისტემის ნაწილი ვიყავი“
3 ე.ხ.-მ ქუთაისში მარკეტი დააყაჩაღა
5 ირლანდიასა და ესპანეთში ქართული ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის 5 წევრი დააკავეს
6 ევროკავშირი რუსეთს სანქციებს გაუგრძელებს

# ნიკა გვარამია პროკურატურაზე: „მრცხვენია, რომ ოდესღაც იმ სისტემის ნაწილი ვიყავი“



„რუსთავი 2“-ის ყოფილი გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას, ასევე, მასთან ერთად ბრალდებული ორი პირის, „რუსთავი 2“-ის ყოფილი ფინანსური დირექტორის, კახა დამენიასა და „ინტერ მედია პლიუსის“ დირექტორის, ზურაბ იაშვილის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე წინასასამართლო სხდომა 16 დეკემბრამდე გადაიდო.

13 დეკემბრის პროცესზე როგორც დაცვის, ისე ბრალდების მხარემ სასამართლოს შუამდგომლობების მტკიცებულებების დაუშვებლობასთან დაკავშირებით მიმართეს.

ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა, რითაც გვარამიას ბრალდების საქმეზე სახალხო დამცველის მოსაზრების, როგორც მტკიცებულების, ამორიცხვა მოითხოვა.

პროკურორ ზვიად გუბელაძის თქმით, ეს არის სამართლებრივი საკითხი და ნებისმიერი იურისტისთვის კარგად ცნობილია ის, რომ მოსაზრება არ შეიძლება მტკიცებულება იყოს სისხლის სამართლის საქმეზე.

ამასთან, პროკურატურამ მოითხოვა, რომ დაცვის მხარემ დასაკითხთა სიიდან 45 პირი ამორიცხოს.

— ბუნებრივია, რომ ის, როგორც მოსაზრება, შეიძლება დაერთოს, თუმცა არ უნდა ჰქონდეს მტკიცებულების ძალა და როგორც მოწმე, არ უნდა იყოს შეყვანილი დასაკითხ პირთა სიაში. ეს არის იურისტებისთვის ანა-ბანა და ძალიან გამიკვირდა, როდესაც ასეთი შეცდომა დაუშვეს მსგავსი დონის იურისტებმა. სწორედ ამიტომ დავაყენეთ ეს შუამდგომლობა.

რაც შეეხება დასაკითხ პირთა სიიდან მოწმეების ამორიცხვას, მათ დასაკითხ პირთა სიაში დაახლოებით 45 ისეთი პირი ჰყავთ შეყვანილი, რომელთა გამოკითხვის ოქმები წარმოდგენილი არ აქვთ. სწორედ ამიტომ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სავალდებულო წესით განსაზღვრავს, რომ მოწმე უნდა იყოს გამოკითხული, მხარეებსა და სასამართლოს უნდა გადაეცეს ინფორმაცია, თუ რასთან დაკავშირებით აპირებენ ისინი სასამართლოში ამ მოწმეების დაკითხვას.

ბუნებრივი, ეს ჩანაწერი, რაც არის საპროცესო კოდექსში, დარღვეულია დაცვის მხარის მიერ და სწორედ ამ არგუმენტის გამო მოვითხოვეთ, რომ 45 პირი ამორიცხულ იქნას დასაკითხთა სიიდან, — განაცხადა ზვიად გუბელაძემ.

კითხვაზე, თუ რა მტკიცებულებებს ეყრდნობა პროკურატურა, რითაც ნიკა გვარამიას ბრალეულობა იკვეთება, პროკურორი განმარტავს, რომ ფინანსურ დანაშაულთან მიმართებით მთავარი მტკიცებულება არის დოკუმენტები.

ზვიად გუბელაძის განცხადებით, ეს არის ხელშეკრულებები, გადარიცხვები და ა.შ.

ნიკა გვარამიას ადვოკატის, დიმიტრი საძაგლიშვილის, განცხადებით, ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ პროკურატურას ძალიან აწუხებს სახალხო დამცველის მიერ გაცემული სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.

— მოითხოვეს მისი ამორიცხვა საქმის მასალებიდან. ალბათ იმედოვნებდნენ, რომ ეს დოკუმენტი სასამართლოში გადმოგზავნილი არ ყოფილა, მათთვის ეს უცნობი იყო და მერე გაიგეს, რომ ეს მოსაზრება სახალხო დამცველს სასამართლოშიც აქვს წარმოდგენილი.

რაც შეეხება მოწმეების დამატებას, დიახ, გამოძიებამ არ გამოკითხა ის პირები, ვინც აუცილებლად უნდა გამოეკითხა წარდგენილი ბრალის გათვალისწინებით. შესაბამისად, დღეს გახმოვანდა ეს შუამდგომლობა, დასაკითხ მოწმეთა სიას დაემატოს პირთა გარკვეული რაოდენობა, მათ შორის, ქიბარ ხალვაში, კახა ბექაური და ა.შ. და მათი დაკითხვა მოხდეს არსებითი განხილვის დროს, — განაცხადა დიმიტრი საძაგლიშვილმა.

ბრალდებულ ნიკა გვარამიას თქმით კი, პროკურატურა სამარცხვინოდ მოქმედებს.

— პროცესუალური ნაწილი უფრო ადვოკატების საქმეა, თუმცა მინდა ვთქვა, რომ ამ ნაწილშიც ვითარება სრულიად ამაზრზენი და აუტანელია პროკურატურის მხრიდან.

ასეთი მოტივირებული პროკურორები, რომ ადამიანს პოლიტიკური ბრალი დასდონ, უბრალოდ, სამარცხვინო საყურებელი და გულისამრევია. მრცხვენია, რომ ოდესღაც იმ სისტემის ნაწილი ვიყავი, ვისაც ახლა აქ ესენი წარმოადგენენ.

მართლა სამარცხვინოა. საქართველოს პროკურატურა არის შავი ლაქა ქართული სახელმწიფოსი, — განაცხადა ნიკა გვარამიამ.

# კალაძე „ოცნების“ წინააღმდეგ

## „დამტკიცებულ მოსამართლეებს შორის რამდენიმე ოდიოზური ფიგურაა, ეს ჩემი მოსაზრებაა“

უვადო მოსამართლეების დამტკიცებას 13 დეკემბერს დედაქალაქის მერი კახა კალაძე გამოეხმაურა.

მისი თქმით, სასამართლო სისტემას, წინა ხელისუფლების პერიოდისგან განსხვავებით, საზოგადოება ენდობა, თუმცა, დამტკიცებულ მოსამართლეთა შორის რამდენიმე ოდიოზური ფიგურა მოხვდა.

— ვინც დაამტკიცეს, მათ შორის რამდენიმე არის ოდიოზური ფიგურა, — განაცხადა მან.

კალაძის აზრით, მთავარია სისტემის გაჯანსაღება.

— მე არაერთხელ მისაუბრია ამ თემაზე. ჩვენთვის მთავარი არის ის, რომ რეპუტაციულად საზოგადოებას სასამართლოს მიმართ ჰქონდეს განსხვავებული მიდგომები და დამოკიდებულება.

ინდივიდუალურად მოსამართლეებს რაც შეეხება, გადაწყვეტილება ამასთან დაკავშირებით მიიღეს და ბევრი არ დაამტკიცეს. თუმცა, მათგან, ვინც დაამტკიცეს, რამდენიმე არის ოდიოზური ფიგურა, ეს ჩემი მოსაზრებაა.

ჩვენთვის მთავარია, გავაჯანსაღოთ სისტემა, — აღნიშნა დედაქალაქის მერმა.



მისი თქმით, წინა ხელისუფლების დროს იყო ერთი ადამიანი და მისი დაჯგუფება.

— ეს იყო მიხეილ სააკაშვილი და მისი დაჯგუფება, ვინც იყო სასამართლო, პარლამენტი, პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ყველაფერი იყო ეს ადამიანი, — განაცხადა თბილისის მერმა.

კახა კალაძის მიერ საკუთარი პოლიტიკური გზის დაწყების შესახებ არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული. ბევრი ექსპერტი თვლის, რომ კალაძეს „ოცნებისა“ და ივანიშვილისგან დამოუკიდებლად პოლიტიკური თამაში წამოწყება შეუძლია, ვინაიდან ამის რესურსი გააჩნია.

ამავე დროს, ისიც ცხადია, რომ კალაძე ფრთხილობს და შესაფერის დროს ელოდება, თან დროდადრო „ოცნებისგან“ მის დამოუკიდებლობას ხაზს უსვამს.

მოსამართლეებზე გამოთქმული მოსაზრება ამის კიდევ ერთი მაგალითია.

12 დეკემბერს პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს 14 მოსამართლე დაამტკიცა, მათ შორის არიან: გენერალური პროკურორი შალვა თადუმაძე (89 ხმით), მისი მოადგილე მამუკა ვასაძე (88 ხმით) და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე (85 ხმით).

# ვოლსკი: „საქართველოს დასავლეთ ევროპის ქვეყნებზე უკეთესი სასამართლო ექნება“

— მე პერსპექტივაში გაცილებით უკეთეს სასამართლოს ვხედავ, ვიდრე ბევრ დასავლეთ ევროპულ ქვეყანას გააჩნია.

ამის შესახებ პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ ჟურნალისტებთან მოსამართლეებთან დაკავშირებით აშშ-ის საელჩოს კრიტიკული განცხადების კომენტირებისას აღნიშნა.

— დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა ასეთი მექანიზმი, რომელიც ჩვენ შევიმუშავეთ ამ პროცედურის ჯანსაღად წარმართვისთვის. მე ვფიქრობ, იმ სტანდარტს, რომელსაც სასამართლო იმსახურებს საერთაშორისო რეიტინგებში, ექნება კვლავაც მომავალში საკმაოდ გამოკვეთილი კონტურები და ვფიქრობ, ბევრ საერთაშორისო ორგანიზაციას, იგივე აშშ-ის საელჩო იქნება ეს თუ სხვა ორგანიზაცია, კიდევ ბევრჯერ ექნება საშუალება დარწმუნდეს, თუ როგორი სტანდარტის სასამართლო მიიღო საქართველომ მას მერე, რაც ეს ორგანო აბსოლუტურად მიწასთან იყო გასწორებული.

მე ამის იმედი მაქვს. კრიტიკული შენიშვნები უნდა იყოს, ალბათ ჩვენც უნდა გვქონდეს, მაგრამ მე პერსპექტივაში გაცილებით უკეთეს სასამართლოს ვხედავ, ვიდრე ბევრ დასავლეთ ევროპულ ქვეყანას გააჩნია, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

# ვაჟა გაფრინდაშვილი ჩვენებას არ ცვლის და ცხინვალის საზღვრებს არ აღიარებს

13 დეკემბერს ოკუპირებული ახალგორის ე.წ. რაიონულმა სასამართლომ ქართველი ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილი ორთვიან პატიმრობაში დატოვა.

სასამართლოს დახურულ სხდომას თავად ვაჟა გაფრინდაშვილიც ესწრებოდა ვლადიკავკაზელ ადვოკატთან ერთად.

სასამართლოს გადაწყვეტილებაზე კომენტარი ვაჟა გაფრინდაშვილის შვილმა, ირინა გაფრინდაშვილმა გააკეთა.

„ძალიან სამწუხაროა, რომ მიუხედავად როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ჩართულობისა, უამრავი დაპირებისა, ჩვენთვის სასურველი გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

სასამართლო გადაიდო, როგორც გვაცნობეს, ერთი კვირით. გადადების ძირითადი მიზეზი არის ის, რომ ვაჟა არ ცვლის ჩვენებას და არ აღიარებს ე.წ. საზღვარს. ვაჟა კვლავინდებურად რჩება ცხინვალის ტყვეობაში! ძალიან დიდი მადლობა ყველას გულშემატკივრობისთვის!“ — დაწერა ირინა გაფრინდაშვილმა ფეისბუქში.

# წალკაში 85 წლის ა.ა.–ს მკვლელობისთვის მ.შ. და ნ.ბ. დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წალკაში მომხდარი ყაჩაღობისა და მკვლელობის ფაქტზე, ორი პირი: 1979 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი მ.შ. და 1993 წელს დაბადებული ნ. ბ. დააკავეს.

ჩადენილი დანაშაულები 8-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ არწივანში, ღამით, ყაჩაღურად თავს დაესხნენ 1934 წელს დაბადებულ ა.ა.-ს საცხოვრებელ სახლს და მას ფული მოსთხოვეს. წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ, ერთ-ერთმა თავდამსხმელმა ა.ა.-ს ბლაგვი საგნის გამოყენებით თავის არეში დაზიანებები მიაყენა, რის შედეგადაც იგი ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა მ.შ. წალკაში, ნ. ბ. კი რუსთავში დააკავეს.

მ.შ.-ს ბრალი ედება განზრახ მკვლელობასა და ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობაში, ნ.ბ.-ს კი — ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობაში. გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლისა და და 179-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების „ბ“ ქვეპუნქტებით.

# შინაგან საქმეთა მინისტრმა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელთან გამოსამშვიდობებელი შეხვედრა გამართა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა გამოსამშვიდობებელი შეხვედრა გამართა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელთან, ერიკ ჰოგთან, რომელმაც საქართველოში მოღვაწეობა დაასრულა.



შეხვედრაზე მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის განსაკუთრებული როლი საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მშვიდობის შენარჩუნებაში.

ვახტანგ გომელაურმა დადებითად შეაფასა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას შორის არსებული თანამშრომლობა და ერიკ ჰოგს გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

# შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლონეთმა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროს განვითარებისთვის სასწავლო აღჭურვილობა გადასცა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას, სამოქალაქო უსაფრთხოების მიმართულებით სწავლების განვითარების მიზნით, პოლონეთისგან სასწავლო აღჭურვილობა გადაეცა. პოლონეთის ელჩმა საქართველოში მარიუშ მაშკიევიჩმა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, ვლადიმერ ბორცვაძეს, აღჭურვილობის ჩუქების სერტიფიკატი საზეიმო ვითარებაში გადასცა.



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ პოლონურ მხარეს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა.

— დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს პოლონელ პარტნიორებს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში შეტანილი წვლილისთვის. თანამედროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურა ხელს შეუწყობს ახალი სასწავლო პროგრამების განხორციელებას და დაეხმარება ჩვენს მეხანძრე-მაშველებს კვალიფიკაციის ამაღლებაში, — განაცხადა ვლადიმერ ბორცვაძემ.

აღჭურვილობის გადაცემის ღონისძიება შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მთავარი სამმართველოს ბაზაზე გაიმართა.

ღონისძიებას, ასევე, ესწრებოდნენ პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განვითარების თანამშრომლობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოს კონსული, პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე, ვარშავის მთავარი სახანძრო სკოლის ინსტრუქტორები და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას სასწავლო აღჭურვილობა პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოსა და ვარშავის მთავარი სახანძრო სკოლის დახმარებით განხორციელებული პროექტის — „შსს-ს აკადემიის სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებში მომზადების სამმართველოს შესაძლებლობების განვითარება“ — ფარგლებში გადაეცა.

პროექტი მოიცავს პრაქტიკული სწავლებისთვის განკუთვნილ მრავალფუნქციურ სახანძრო-სამაშველო სიმულატორს, 17 ინსტრუქტორისთვის განკუთვნილ სრულ სახანძრო ეკიპირებასა და შესაბამის სასწავლო აღჭურვილობას.

ღონისძიების ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ, ახალგადმოცემული აღჭურვილობის გამოყენებით, საჩვენებელი სასწავლო სესია გაიმართა.

უახლოეს მომავალში ვარშავის მთავარი სახანძრო სკოლის ინსტრუქტორები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებში მომზადების სამმართველოს ინსტრუქტორებს გადაცემული სასწავლო აღჭურვილობის გამოყენებისა და შესაბამისი სასწავლო მოდულის შექმნის შესახებ სპეციალურ ტრენინგს ჩაუტარებენ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მამუკა ახვლედიანი: „ჩინჩალაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს **მამუკა ახვლედიანი** პასუხობს.

***— ბატონო მამუკა, სულ მცირე იმედი მაინც არსებობდა, რომ პარლამენტი ჩააგდებდა უზენაესი მოსამართლეების სიას, თუმცა ვნახეთ რაც მოხდა, 20-დან 14 მოსამართლეს დაუჭირეს მხარი. თქვენი შეფასებები, როგორც ყოფილი მოსამართლის და სასამართლოს თავმჯდომარის ამ ყველაფერთან დაკავშირებით?***

— წარმოუდგენელი პროცესი იყო, ასე არ ხდება ხოლმე. ფაქტობრივად ყველაფერი თავდაყირა დააყენა ამ პროცესმა. სრული ფარსი იყო. არავითარი არჩევა არ ხდებოდა. უბრალოდ ცოტათი გააკეთილშობილეს პროცესი, ჯიბიდან ფურცლის ამოღების შემდეგ რაღაც ფორმები მისცეს ამ ყველაფერს. წარმოუდგენელია ასე გათვლილად ერთი და იგივე კანდიდატი არ მოეწონოთ და დანარჩენებს დაუჭიროს მხარი. რეკომენდაციები წინასწარ ჰქონდათ პარლამენტის წევრებს მიცემული. კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ფარსი იყო ეს ყველაფერი. არანაირ კენჭისყრასაც კი ადგილი არ ჰქონია.

***— რას იტყვით იმ კანდიდატებზე, რომლებიც აირჩიეს. უმრავლესობას ხომ იცნობთ?***

— ზოგიერთს ჯობია, რომ არ ვიცნობდე. ზოგიერთი ჩემი ყოფილი კოლეგაა და თავს შევიკავებ პიროვნულად მათ მიმართ რაიმე საუბარზე, მაგრამ ამ პროცესში მონაწილეობის მიღება მათ ღირსებზე კარგად არ მეტყველებს. მათ თავად არ უნდა მიეღოთ ამ პროცესში მონაწილეობა, როცა იცოდნენ, როგორ ხდებოდა და ვინ არჩევდნენ მათ.

***— ანუ გაიმარჯვა კლანმა?***

— არა მარტო კლანმა. აი ამ მახინჯმა სისტემამ, რომელიც სასამართლოში და ქვეყანაში სუფევს. პარლამენტშიც და სასამართლოშიც. ეს არ არის მარტო კლანი, ეს დიდი ხანია გაცდა კლანის ფარგლებს. კიდევ უფრო დიდ სიმახინჯედ გადაიქცა და სახიფათო სახე მიიღო.

***— რა პროცესებს უნდა ველოდეთ. შესაძლოა უდიპლომო თადუმაძე გახდეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე?***

— ნამდვილად ბევრი კითხვა არსებობს მის დიპლომთან დაკავშირებით. დიდი ალბათობით ეს ასე მოხდება. რა პროცესიც დავინახეთ, სწორედ აქეთ მიდის ყველაფერი. იქნება ისევ ის უძრაობის ხანა, უმოქმედობა, კომპრომეტირებული სასამართლო, რომლის იმედიც არავის არ ექნება, ალბათ ისევ კაბინეტებში უნდა არჩიონ საქმეები, ალბათ იქნება ქუჩაში გარჩევებიც და ამ ტიპის სახელმწიფოს მივიღებთ ასეთი სასამართლოს პირობებში. არ იქნება არავითარი ინვესტიცია.

***— საინვესტიციო გარემოსაც დაარტყამს ეს პროცესი?***

— პირველი, რასაც დაარტყამს ამ ტიპის სასამართლო, ეს არის საინვესტიციო გარემო ქვეყანაში, როცა პირველი კითხვა ისმის — საინვესტიციო გარემო როგორია ქვეყანაში? ქვეყანაში, სადაც პოლიტიკოსები წყვეტენ, ვინ რა გააკეთოს და ვინ რა არ უნდა გააკეთოს, ასეთი ტიპის ქვეყანაში, თავისუფალი ფული არ იდება. იდება მხოლოდ პოლიტიკური ფული და პოლიტიკური ფული ჩვენი ქვეყნისთვის რას ნიშნავს, თქვენც კარგად იცით. ისიც ვიცით, რომელი ქვეყანაა პოლიტიკურ ფულის ჩამდები ამ ქვეყანაში.

***— იმ შემთხვევაში, თუკი შეიცვალა ხელისუფლება, არსებობს რაიმე ბერკეტი, რომ გადაიხედოს ამ მოსამართლეების დანიშვნის წესი?***

— რა თქმა უნდა, არსებობს და გეტყვით იმასაც, რომ ბევრი მათგანი, როგორც 2012 წლის ოქტომბერში აცხადებდა, როდის დაგვიჭერენ და მათ შორის ჩინჩალაძეც საკუთარი კაბინეტიდან არ გამოდიოდა, მისსივე ნამოქმედარის შიშის გამო, დარწმუნებული იყავით, რომ ძალიან ბევრი მათგანი თვითონ დაწერს განცხადებას და წავა სასამართლო სისტემიდან, ნორმალური სისტემის შექმნის შემთხვევაში.

არსებობს ამის ბერკეტებიც, საერთაშორისო გამოცდილებაც ამ ტიპის პრობლემებთან გამკლავების, უბრალოდ, დრო სჭირდება მეტი, რადგან ესენი კიდევ უფრო მეტად აზიანებენ სასამართლო სისტემას და კიდევ მეტი დრო დასჭირდება ამ სისტემის ფეხზე დაყენებას.

***— ეს იყო ბიძინა ივანიშვილის მოთხოვნა, რომ ეს მოსამართლეები გაეყვანათ. რა კრიტერიუმებით იქნა ისინი შერჩეული?***

— არავითარი კრიტერიუმი ამათ არა აქვთ,



**ჩემთან ყოფილა, რამდენიმე მოსამართლე ტირილით მოსულა, რომ მათთვის იქნებ რაღაც მეშველა, როდესაც მათ დაკითხვებზე იბარებდნენ და დღეს ეს მოსამართლეები გახდნენ სასამართლოს თავმჯდომარეები!**

ეს არის მორჩილება, ეს არის დისკრედიტირებული და მონაწილეობა მიღებული იმ პროცესებში, რომლის გამოც ის მუდმივად დისკრედიტირებული იქნება. აი ეს არის ის ორი ნიშანი, რაც სჭირდებათ ადამიანებს. ერთგულებს მიიღებენ შესაბამისად. როცა პიროვნული მახასიათებლები და თვისებები არა აქვს ადამიანებს, იმათი დამორჩილება ძალიან იოლია. რა თქმა უნდა, ეს არის პოლიტიკური ჯგუფის და პოლიტიკური ხელმძღვანელობის დაკვეთა, რომ ეს ადამიანები გასულიყვნენ. კონკრეტულად იყო მითითებული, თუ რომელი 14 ადამიანი უნდა გასულიყო. ისიც ვნახეთ, თუ როგორ გაიყო ხმები, როგორ მოხდა ხმის მიცემა.

***— რა კრიტერიუმით დაიწუნეს ის ექვსი?***

— ვინც დაიწუნეს, რაიმე განსაკუთრებული შეცდომა არ აქვს დაშვებული, სხვებს გაცილებით მეტი შეცდომა აქვს არჩეულებიდან. ზოგმა 2-3 ხმა მიიღო და ზოგმაც 90 ხმა. ეს პირდაპირ არის დავალება, რომ რომელი გვარისთვის უნდა მიეცათ თანხმობა და რომლისთვის უარი. ცალსახად წინასწარ იყო განსაზღვრული ეს ყველაფერი.

***— ეს მოსამართლეები სააკაშვილის დროსაც იყვნენ და რეჟიმს ემსახურებოდნენ, მის დავალებებს ასრულებდნენ. დღესაც თვალს არ ახამხამებენ, ისე გამოაქვთ პოლიტიკური გადაწყვეტილებები. სწორედ ეს მოსამართლეები იქნებიან, ვინც ივანიშვილს რეჟიმს გაასამართლებსო. ასე იქნება?***

— გარკვეულწილად ასე ფიქრობს ალბათ პოლიტიკური ხელისუფლება, რომ მათი დანიშნული ადამიანები იმაზე უკეთესი იქნება, ვიდრე თავისუფალ რეჟიმში დანიშნული ადამიანები, ფიქრობენ, რომ უფრო მეტი ბერკეტი ექნებათ მათზე. გარკვეულწილად საკუთარი დანაშაულის შეგრძნება ალბათ განაპირობებს იმას, რომ ასე მოიქცნენ და ასე იჩქარონ და ასეთი ფორმებით დანიშნონ ადამიანები. მე ძალიან ვცდილობდი, რომ ასეთი ქირურგიული ჩარევა სასამართლოს არ დასჭირვებოდა და შიდა რესურსით მომხდარიყო გარკვეული ცვლილებები, რაც კიდევ უფრო კარგად აისახებოდა სასამართლოს განვითარებასა და გაჯანსაღებაზე. სამწუხაროდ, მკვეთრი ჩარევის გარეშე ძალიან რთული იქნება ეს ყველაფერი. ამ ქვეყნის მთავარი პრობლემა ის არის, რომ წარსულის ქმედებები ყველას შერჩა ყოველგვარი გამოძიების და ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე.

***— ამ მოსამართლეებსაც გულისხმობთ?***

— მათ შორის მოსამართლეებსაც! ძალიან ბევრი მათგანის მიმართ სისხლის სამართლის საქმეები იყო აღძრული, რომელიც დღესაც არის.

***— როგორ შეიძლება ასეთმა მოსამართლემ გამოიტანოს ობიექტური გადაწყვეტილება?***

— მეც ზუსტად ეს კითხვები მაქვს. ძალიან ბევრ მათგანზეა აღძრული სისხლის სამართლის საქმე. ზოგიერთი მათგანი დღეს სასამართლოს თავმჯდომარეა. ზოგიერთ მათგანზე პიროვნულადაც კი არის საქმე აღძრული. იყვნენ ადამიანები, რომლებზედაც, არა კონკრეტულად პიროვნებაზე, არამედ საქმის მიმართ მათი ხელმძღვანელობის დროს ჩადენილ დანაშაულებზეა საუბარი, პროკურატურასა და სხვადასხვა ორგანოებში.

გამოძიება დღემდე მიმდინარეობს და როცა მოუნდება ხელისუფლებას, სწორედ მაშინ გავა ამ მოსამართლეების გვარზე. ესეც არის დღეს ერთ-ერთი ბერკეტი, რომელიც ხელისუფლებას აქვს.

***— უხეშად რომ ვთქვათ, ივანიშვილს ყურებით უჭირავს ეს მოსამართლეები?***

— კი ბატონო, ასეა და მათ შორის არის ჩინჩალაძე. ჩინჩალაძის მიმართაც ძალიან ბევრი საქმე იყო აღძრული.

***— ჩინჩალაძეზეც აქვთ კომპრომატები?***

— კომპრომატები არა, სისხლის სამართლის დანაშაულები. პირადად ჩემთან ყოფილა რამდენიმე მოსამართლე ტირილით მოსული, ტირილით, მამაკაცები, რომ მათთვის იქნებ რაღაც მეშველა, იქნებ გამომეძებნა საერთო ენა ვინმესთან, რომ მათ ეს პრობლემები აღარ ჰქონოდათ, როდესაც მათ დაკითხვებზე იბარებდნენ და დღეს ეს მოსამართლეები გახდნენ სასამართლოს თავმჯდომარეები!

***— უზენაესშიც ხომ არ წავიდა რომელიმე მათგანი?***

— უზენაესში სხვა ტიპის დანაშაულის ჩამდენი ადამიანები წავიდნენ რამდენიმე. ძალიან ცუდი პროცესია და ეს ძალიან დიდ დამღად დაემჩნევა ამ ქვეყანას და ეს არ არის მარტო სასამართლო სისტემის პრობლემა. ეს ყველა ადამიანის კისერზე გადაივლის და ძალიან რთული პროცესი იქნება სასამართლოს გაჯანსაღება და მისთვის ავტორიტეტის მოპოვება.

გაუკეთებელი არაფერია, მაგრამ საქმე კიდევ უფრო გართულდა. სამწუხაროდ, ბევრი უსახური ადამიანი აღმოჩნდა სასამართლო სისტემაში, რომელსაც არც თავმოყვარეობა, არც ღირსება და არ გააჩნია არაფერი საკუთარი კეთილდღეობის გარდა.

***— ანუ გაქვთ მოლოდინი, რომ ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში ეს მოსამართლეებიც საკუთარი ნებით წავლენ?***

— არა მარტო საკუთარი ნებით, ყველა ადამიანმა თავის ქმედებაზე პასუხი უნდა აგოს! არიან ადამიანები, რომლებსაც საკმაოდ მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი სხვადასხვა პერიოდში. ყველა მათგანმა პასუხი უნდა აგოს. ისე სამართალი და წესრიგი ვერ დამყარდება.

***— ამ არჩეული 14 მოსამართლიდან რომელიმე მაინც თუ აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმს, რაც მოეთხოვება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს?***

— არ მინდა კოლეგებს შეურაცხყოფა მივაყენო... მათ შორის არის მცოდნეებიც, თუმცა ძალიან ბევრი მათგანი უპრინციპო და ღირსების არმქონე აღმოჩნდა. ცალ-ცალკე შეიძლება ვიღაცას რაღაც ჰქონდეს, მაგრამ კომპლექსურად ღირსებაც ჰქონდეს და ცოდნაც, ასეთი ძნელი შესარჩევია. სამწუხაროდ, ისეთ პროცესში მიიღეს მონაწილეობა, რომ ვერანაირ გამართლებას ვერ მოვუძებნი ამ ადამიანებს!

## ე.ხ.-მ ქუთაისში მარკეტი დააყაჩაღა



შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ქუთაისში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი გახსნეს.

დაკავებულია 1 პირი — 1997 წელს დაბადებული ე.ხ.

ჩადენილი დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მიმდინარე წლის 1 დეკემბერს, ქუთაისში მდებარე ერთ-ერთ მარკეტს ყაჩაღურად თავს დაესხა, ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით მოლარეს ფული გასტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

პოლიციამ, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, დანაშაულის ჩადენის იარაღი — ცეცხლსასროლი პისტოლეტი და საბრძოლო ვაზნები ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

ყაჩაღობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

# ნაზი ჯანეზაშვილი: „თამარ ზამბახიძე, არ გრცხვენია?!“

ნათია ხურცილავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი **ნაზი ჯანეზაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში უზენაეს სასამართლოში დამტკიცებულ მოსამართლეებზე საუბრობს.



***— ქალბატონო ნაზი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა 20-კაციანი სიიდან 14 დამტკიცებულია. როგორია თქვენი შეფასება?***

— პარლამენტმა ამ გადაწყვეტილებით ჩინჩალაძის კლანი კიდევ უფრო გააძლიერა. ამით შექმნა ძალიან სერიოზული საფრთხეები. სასამართლო სისტემაში შეიძლება დაიწყოს რეპრესიები და საკმაოდ დაიძაბოს ვითარება. ასე გაძლიერებული კლანი ძალიან საშიშია როგორც ქვეყნისთვის, ასევე თვითონ სისტემის შიგნით მოსამართლეებისთვის.

გამოსავალი მაინც არსებობს. გამოსავალი არის ხალხში, ამ ქვეყნის მოქალაქეებში. ძალიან მენიშნა პარლამენტთან თავისი პროტესტის გამოსახატავად მოსული სხვადასხვა ჯგუფები.

პოლიტიკოსების გარდა, ამ მოსამართლეების დანიშვნას ახალგაზრდები აპროტესტებდნენ. არასოდეს ამ საკითხზე ხალხი ქუჩაში არ გამოსულა. ეს ჩემი თვალით ვნახე. ამიტომ, თუ ყველა მობილიზდება და ეს იქნება ხალხის ნება, სასამართლოში მართლაც შეიძლება რეალური ცვლილებები.

***— გვიან არ არის?***

— გვიან არ იქნება, თუ პოლიტიკური ნება იარსებებს. ყველაფერი შეიძლება მოხდეს. სამუდამო არაფერი არ არის და ეს უნდა იცოდეს ჩინჩალაძემაც და იმ ხალხმაც, ვინც აირჩიეს.

***— ელოდით, რომ ოდიოზური კანდიდატები მაინც გავიდოდნენ?***

— ვფიქრობდი, 5-6 კანდიდატს აირჩევდნენ და არა — 14 კანდიდატს. როგორც ჩანს, ყველაფერზე მიდიან. უცებ, ერთჯერადად უზენაესი სასამართლოს ასე შევსება და დაკომპლექტება ბოლოს როდის იყო, არ მახსოვს. ვენეციის კომისიის რეკომენდაცია ხელისუფლებისადმი იყო: მხოლოდ შენ არ დააკომპლექტო, სხვა ხელისუფლებასაც დაუტოვე ეს შანსი.

***— უმრავლესობა ამბობს, რომ ჩააგდეს ის კანდიდატები, რომლებიც საზოგადოებისთვის მიუღებელი იყო.***

— ეს მოსალოდნელიც იყო, ისინი გარკვეულ კანდიდატებს ჩააგდებდნენ, მაგრამ ალანიას და გეწაძის ჩაგდებას ნამდვილად არ მოველოდი. თუმცა, მათ შანსი კიდევ აქვთ.

***— მეორე ეტაპზე?***

— დიახ!

***— ასეთი პროტესტის მიუხედავად, მიუხედავად ვენეციის კომისიის რეკომენდაციისა, ხელისუფლებამ თავისი გაიტანა. ეს არის გზავნილი ზოგადად საზოგადოებისადმი თუ გარკვეული ჯგუფისადმი?***

— გზავნილი ყველას ეკუთვნის და ის ასეთია: არ მაინტერესებს თქვენი აზრი! მე ჩემსას მაინც გავიტან, მაგრამ ხელისუფლება პარადოქსულ ვითარებაში იმყოფება.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ ქვეყანაში პოლიტპატიმრების არსებობა აღიარა და იმ პოლიტპატიმრების მოსამართლეები დააწინაურა და უზენაეს სასამართლოში უვადოდ გაამწესა. რა გამოდის?! მან სრულად გადაიფორმა წინა ხელისუფლების მემკვიდრეობა.

ეს კიდევ უფრო უარესი ფორმით გააკეთა, რადგან ახლა უფრო რთული ვითარებაა, კლანი ბევრად უფრო ძლიერია. მეთოფიშვილი და გვრიტიშვილი მაშინ ხმას ვერც კი ამოიღებდნენ, მორჩილი შემსრულებლები იყვნენ, ახლა აქტორები გახდნენ. მოთხოვნები აქვთ, რასაც ხელისუფლება უსრულებს. ეს ვითარება „ქართულმა ოცნებამ“ შექმნა თავისი გადაწყვეტილებებით, რაც 12 დეკემბერს დაადგირგვინა კიდეც.

***— ამერიკის საელჩოს განცხადება შეიძლება დამაფიქრებელი იყოს ვინმესთვის? იქ პირდაპირ საუბრობენ დაბალ კვალიფიკაციაზე.***

— კარგი განცხადება იყო. ამერიკის შეერთებული შტატები იმდენ ფულს ხარჯავს საქართველოს სასამართლო სისტემაზე, ყველა მოსამართლე მიჰყავს ამერიკაში, უნარ-ჩვევები რომ გაიძლიერონ. მეტი ცოდნა რომ მიიღონ. უხსნიან, ასწავლიან, მაგრამ ამ ხალხისგან არაფერი გამოდის. ცხადია, უმრავლესობაზე ვსაუბრობ და არა – 1-2 ღირსეულზე.

როდესაც ადამიანს ღირსება არ გააჩნია, მას ვერანაირი ტრენინგი ვერ შველის. ღირსება სწავლებადი არ არის. ან ხარ ღირსეული, ან არ ხარ!

თამარ ზამბახიძეს მინდა მივმართო, რომელზეც ამბობენ, რომ ყველაზე კვალიფიციურია – არ რცხვენია?! მას სკამი რომ არ დაეკავებინა, ამისთვის ხალხი გარეთ, ქუჩაში იდგა და ამ პროტესტის გამო ეს ხალხი დააკავეს. მე პარლამენტში არ შემიშვეს, რომ კენჭისყრას დავსწრებოდი! აი, ამ ფონზე აირჩიეს.

მათთვის მთავარია კარიერა, თანამდებობა და ფული.




**შევიძენ**

**ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.**

**ტელ: 598-43-98-57**

# ნიკა ჩიტაძე: „აშშ-ის საელჩომ „ქართულ ოცნებას“ გაულაწუნა“

იაგო ნაცვლიშვილი

12 დეკემბერს, საპარლამენტო უმრავლესობის გადაწყვეტილებით, ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ ნიკა მელიას უკვე მეორედ მოეხსნა დეპუტატის მანდატი. ამავე დღეს უმრავლესობამ უზენაეს სასამართლოში 14 მოსამართლე უვადოდ გაამწესა, რასაც საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება მოჰყვა. ამ საკითხზე განცხადება ამერიკის საელჩომაც გააკეთა და დიპლომატიური ენით მწვავედ გააკრიტიკა ხელისუფლება. იქამდე კი პროკურატურამ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის გიგი უგულავას წინააღმდეგ საქმე აღძრა, მაშინ როდესაც თავად გიგი უგულავას დაესხნენ თავს და მან თავი დაიცვა.

საით მიდის ქვეყანა? როგორ ითარგმნება ამერიკის საელჩოს განცხადება სახალხო ენაზე და მოსალოდნელია თუ არა დასავლეთის მხრიდან „ქართული ოცნების“ მიმართ კრიტიკის მომატება? — ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **ნიკა ჩიტაძე** საუბრობს.



***— ნიკა მელიას უკვე მეორედ ჩამოართვეს დეპუტატის მანდატი უმრავლესობის წევრებმა. ალბათ ამას პოლიტიკურ გადაწყვეტილებად შეაფასებთ, მაგრამ „ოცნებას“ რას აძლევს ეს, გნებავთ, იმიჯის თვალსაზრისით, გნებავთ, სხვა კუთხით?***

— ეს გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, პოლიტიკური მოტივაციით არის ნაკარნახევი და ეს, პირიქით, ნეგატიურად აისახება მის იმიჯზე. ისინი საუბრობენ იმაზე, როგორ გაამყარეს დემოკრატია და საქართველო გათავისუფლდა 2012 წლის 1 ოქტომბერს და ა.შ. ჩანს, რომ ამ შემთხვევაში საქართველოში ყველა მიმართულებით იდევნება ოპოზიციური აზრი, მათ შორის რაც ეხება იმ საკითხს, რომ მელიას ჩამოართვეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება, ანუ პროცესი მიმდინარეობს ოპოზიციურად მოაზროვნე ადამიანების წინააღმდეგ როგორც პარლამენტის შიგნით, ასევე პარლამენტის გარეთ სხვადასხვა მიმართულებით. ვგულისხმობ, რომ, ვთქვათ, სამოქალაქო აქტივისტები, რომლებიც, მაგალითად, აპროტესტებდნენ „ქართული ოცნების“ პოლიტიკას პოლიტიკურ-ეკონომიკური, სამართლებრივი თუ სხვა მიმართულებით, ყველას ნაციონალების აგენტს ეძახიან და ცდილობენ, რომ ამით დააკნინონ მათი მოღვაწეობა. პარლამენტის შიგნით არსებულ ვითარებას რაც შეეხება, ვხედავთ, რომ, მაგალითად, ნიკა მელია თურმე ეწევა კანონსაწინააღმდეგო საქმიანობას და ამიტომ შეუწყდა უფლებამოსილება.

ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ჩანს შერჩევითი სამართლის ნიშნები. მაგალითად, ვიცით ის, თუ რა კანონსაწინააღმდეგო საქმიანობას ეწეოდა „ქართული ოცნების“ ბევრი წევრი, მონაწილეობდნენ ჩხუბებში, მხილებულნი არიან შეურაცხყოფის მიყენებაში და ა.შ.

***— მელიას უფლებამოსილება შეუწყვიტეს ბანკ „ქართუს“ საქმეზე. მელია კი ამბობს, რომ მაშინ მისმა უწყებამ — აღსრულების ბიურომ გადაწყვეტილება მოსამართლის განჩინების საფუძველზე მიიღო, რომელიც „ოცნებამ“ აირჩია უვადო მოსამართლედ. ეს რაზე მიანიშნებს?***

— ეს გასაგებია და ჩანს, რომ სასამართლო ხელისუფლება ამ შემთხვევაში ხელისუფლების დაქვემდებარებაშია. ამიტომაც მის დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი არ შეიძლება იყოს. გადაწყვეტილება მიიღო იმ მოსამართლემ, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ დააწინაურებდნენ და შემდგომში ეს მოსამართლე, თუ შეიძლება, მოსამართლე ეწოდოს, უვადოდ იქნებოდა გამწესებული საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

***— „ქართული ოცნება“ ვერ ხვდება, რომ შერჩევითი სამართლიანობის აღდგენა, პირიქით, პრობლემებს შეუქმნის?***

— მე ასე მგონია, რომ ბევრ რამეს ვერ ხვდება „ქართული ოცნება“, მაგალითად, იმას, რომ ეღიარებინათ შეცდომები იმაზე, რომ ვერ შეასრულეს დაპირებები. აეხსნათ საზოგადოებისთვის, რომ მათი სურვილი იყო, 2012 წლამდე გაცემული დაპირებები შესრულებული ყოფილიყო, თუმცა ეთქვათ, რომ, გარკვეული მიზეზებიდან გამომდინარე, ეს ვერ მოხერხდა და ა.შ.

ამ დროს კი მათი ტაქტიკაა, რომ, პირიქით, თურმე ყველაფერი შეასრულეს და ივანიშვილი აცხადებს, ყველა პირობა შევასრულეთ და მათ შორის გადაჭარბებულადაც კი შევასრულეთო. თუნდაც ის ფაქტი, რომ გზავნიან ე.წ. სამოქალაქო აქტივისტებს, რომლებიც სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები არიან და ისინი თავს ესხმიან ოპოზიციის ოფისებს. ესეც უკუეფექტს იძლევა. სამწუხაროა, თუ ვერ ხვდება „ქართული ოცნება“ იმას, რომ ამით ის აზიანებს საკუთარ იმიჯს. თუ მას უნდა ხელისუფლების გამყარება და რეიტინგის ამაღლება, ამისათვის საჭიროა, მაქსიმალური ძალისხმევა მოახმარონ იმას, რომ გადაჭრილი იყოს ქვეყნის წინაშე არსებული სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი თუ სხვა ხასიათის პრობლემები.

***— ამერიკის საელჩომ გაავრცელა განცხადება მოსამართლეების თემაზე, სადაც წერია, რომ გასაუბრებიდან გამოჩნდა, ნაწილი ვერ აკმაყოფილებდა ვერც მიუკერძოებლობისა და იურიდიული კომპეტენციის კრიტერიუმებს და მათი ნაწილი უვადოდ გაამწესეს. ეს დიპლომატიური გზავნილი როგორ ითარგმნება სახალხო ენაზე?***

— ეს იმას ნიშნავს, რომ დიპლომატიურ ურთიერთობათა ვენის კონვენცია, ერთი მხრივ, ანიჭებს დიპლომატებს ხელშეუხებლობას, მაგრამ, მეორე მხრივ, მას აკისრებს პასუხისმგებლობას იმაზე, რომ არ უნდა ჩაერიონ რომელიმე ქვეყნის საქმეებში მხარდაჭერის გამოხატვით ხელისუფლებისა თუ რომელიმე პარტიის მისამართით. ამ შემთხვევაში საუბარი იყო დიპლომატიურ მინიშნებაზე. პირდაპირ კრიტიკას თავი აარიდა ამერიკის საელჩომ, მაგრამ იყო საუბარი დიპლომატიურ მინიშნებაზე. ამერიკის საელჩომ დაიცვა ვენის კონვენციის პრინციპები და გარკვეულწილად განახორციელა ირიბი მინიშნება და ხელისუფლება მიანიშნა, რომ მოსამართლეები უვადოდ შეცდომით აირჩიეს მათ.

ამერიკის საელჩომ პირდაპირი კრიტიკისგან თავი შეიკავა, მაგრამ საელჩოს წარმომადგენლებისა და ელჩისგან ამას არც უნდა ველოდოთ.

***— თუმცა ეს იყო გზავნილი, ხელისუფლება უნდა მიხვდეს ამდენს. ასე არაა?***

— ხელისუფლება საერთოდ ბევრ რამეს უნდა მიხვდეს, მაგრამ იქამდე მოსახლეობა უნდა მიხვდეს და ჩვენ გვქონდა ამაზე საუბარი წინა ინტერვიუში. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა მიხვდეს, რომ სწორი არჩევანი გააკეთოს. როდესაც მოსახლეობას დასკვნა ვერ გამოაქვს 2012 წლის შემდეგ და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი 2016 წელს ისევ „ქართულ ოცნებას“ აძლევს ხმას, მაშინ აქ პრობლემაა.

შესაძლოა, „ქართული ოცნება“ ცდება, მაგრამ ეს იმიტომაც, რომ მოსახლეობა „ატარებს“ ბევრ რამეს და მას ეს გასდის.

***— ამერიკის საელჩოს განცხადება მხოლოდ მის გზავნილად უნდა აღვიქვათ თუ ეს უნდა აღვიქვათ მთლიანად დასავლეთის პოზიციად?***

— ალბათ ეს უნდა აღვიქვათ მთლიანად დასავლეთის პოზიციად, იმიტომ, რომ არც ამერიკა და დასავლეთის სხვა ქვეყნებიც არ იზიარებენ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებას ე.წ. მოსამართლეების უვადოდ გამწესებასთან დაკავშირებით.

***— ეს „ქართული ოცნების“ მისამართით ერთგვარად სილის გალაწუნებაც ხომ არ იყო?***

— გარკვეულწილად, არის, მაგრამ მთავარი პრობლემაა, რომ ამით ზიანდება საქართველო და არა „ქართული ოცნება“.

***— ახსენეთ პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილებები. მელიას გარდა, ვნახეთ უგულავას მიმართ საქმის აღძვრა იმის გამო, რომ მას თავს დაესხნენ. იქამდე იყო ოქრუაშვილის საქმე. ამ საქმეებიდან გამომდინარე, ხომ არ უნდა ველოდოთ, რომ კიდევ უფრო მოიმატებს კრიტიკა არჩევნების მოახლოებასთან ერთად დასავლეთისგან?***

— კრიტიკა, რა თქმა უნდა, იქნება. საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან კრიტიკა მოიმატებს. იქნება იგივე „ჰუმან რაითს ვოჩის“ მხრიდან, იგივე „ფრიდომ ჰაუსის“ მხრიდან. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშებში აისახება და ა.შ. დიპლომატებს რაც შეეხება, ისინი უფრო ირიბი ფორმით გამოხატავენ პროტესტს. კი ბატონო, კრიტიკა შეიძლება გაიზარდოს და იქნება მეტი და მეტი მოწოდება იმისა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები შეესაბამებოდეს დემოკრატიულ სტანდარტებს.

ისიც მინდა ვთქვა, რომ ოპოზიციამაც გარკვეულწილად თავი უნდა შეიკავოს რაღაცა განცხადებებისგან, რომ ყველას გავუშვებთ ციხეში და ა.შ. არ უნდა აკეთოს რადიკალური განცხადებები, როცა ხელისუფლებაში მოვალთ, ყველას მოეთხოვება პასუხიო და ა.შ. მუქარები არ უნდა იყოს არც ოპოზიციის მხრიდან. არ უნდა იყოს მსგავსი რადიკალური განცხადებები. საერთო ჯამში, ეს არის ორივე მხარის პასუხისმგებლობა. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ეს არის ხელისუფლების პასუხისმგებლობა, მაგრამ ოპოზიციასაც აქვს თავისი წილი პასუხისმგებლობა.

***— რატომ? თუ ხედავს, რომ ხელისუფლების ქმედებებში არის გადაცდომებისა თუ დანაშაულის ნიშნები, მაშინ რატომ არ უნდა შეიკავოს თავი?***

— თუ დანაშაული არის, მაშინ კონკრეტულმა ადამიანმა შეიტანოს საჩივარი პროკურატურაში.

***— ანუ ეს განცხადების დონეზე არ უნდა გაკეთდეს და შესაბამისი სამართლებრივი ქმედება უნდა განხორციელდეს?***

— კი. პოლიტიკოსი ამას არ წყვეტს. გადაწყვეტილება პოლიტიკოსმა კი არა, საგამოძიებო უწყებამ უნდა მიიღოს პოლიტიკური მოტივაციის გარეშე. გასაგებია, რომ გიგი უგულავას ექნება, საფუძველი საჩივარი შეიტანოს პროკურატურაში იმის გამო, რომ მას თავს დაესხნენ და აქეთ მასზე აღძრეს საქმე. ამ დროს უნდა წარიმართოს დამოუკიდებელი გამოძიება და დამოუკიდებელმა სასამართლომ გამოიტანოს განაჩენი საბოლოო ჯამში. მაგრამ, იმისათვის, რომ დაძაბულობა განიმუხტოს, ოპოზიცია უნდა მოერიდოს ასეთ განცხადებებს.

განცხადებები, რომ ყველანი ციხეში და ა.შ. საქმეს არ წაადგება. ამ შემთხვევაში მხოლოდ პოლიტიკურ ელიტას არ ვგულისხმობ. ვგულისხმობ სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენლებსაც. ვხედავთ, რომ ისინი მთელი ძალით ებღაუჭებიან ძალაუფლებას, თავდასხმაც კი ხორციელდება და ა.შ. ცოტა უნდა განიმუხტოს ვითარება.

ოპოზიციამ მიმართვები უნდა გააკეთოს იმ მიმართულებით, რომ მისი მიზანია ერის კონსოლიდაცია და გაერთიანება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მუდმივად მივიღებთ ასეთ სურათს, რომ ყოველი ახალი ხელისუფლება მუდმივად განახორციელებს რეპრესიებს ყოველი წინა ხელისუფლების წინააღმდეგ და სულ ამის შიში იქნება.

***— ანუ შურისძიების პოლიტიკა რომ დასრულდეს, ამიტომ საუბრობთ ამაზე?***

— დიახ, რასაკვირველია.

# გოგი წულაია: „გვაცხოვრებენ საბჭოთა კავშირში და გვაზეიმებენ ევროპას“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება დაძაბული, ეპატაჟური და პროვოკაციულია. პოლიტიკური აქციებისა და სანახაობების პარალელურად, საქართველოში ბევრ ადამიანს შია და სცივა. საზოგადოებას უსამართლობის განცდაც უმძაფრდება. ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, „თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერს, **გოგი წულაიას**.

***— პარლამენტმა უვადოდ დაამტკიცა უზენაესი სასამართლოს 14 წევრი, მათ შორის, ოდიოზური და უსამართლობასთან ასოცირებული მოსამართლეები. როგორ გგონიათ, გამოიწვევს ეს ისედაც უკმაყოფილო საზოგადოების უფრო მეტ პროტესტს?***

— საზოგადოება ისედაც გამწარებულია, თუმცა, ამ გადაწყვეტილების შემდეგ არ შეიძლება, პროტესტი არ იყოს. ასეთი არაფერი მინახავს — ხელისუფლება, იმის მაგივრად, რომ ქვეყანაში სტაბილურობასა და სიმშვიდეზე ზრუნავდეს, პირიქით იქცევა. „ქართული ოცნება“ ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ხალხი ისევ ქუჩაში გამოიყვანოს და აქციები არ შეწყდეს.

ხელისუფლების ასეთი გამოხდომები ძალიან ცუდად აისახება ეკონომიკაზე, ლარის კურსზე, შემოსავლებზე. ლარის კურსს ძლივს იჭერენ. ხალხი ქვეყნიდან გარბის. მერე უფრო მეტი გაიქცევა.

***— რა მიზანი აქვს ხელისუფლებას? რისთვის სჭირდება მუხტის აწევა?***

— ხელისუფლებას უნდა ან ყველაფერი, ან არაფერი. უფრო სწორად, ამ ხალხს სამუდამოდ უნდა ხელისუფლებაში ყოფნა. ხომ გახსოვთ, სააკაშვილი როგორ მისტიროდა აზიის იმ სახელმწიფოებს, სადაც ერთი პარტია 70 წელი მართავს ქვეყანას. მისთვის სინგაპური იყო მისაბაძი.

ჩვენც გამოვცადეთ კომუნისტების 70-წლიანი რეჟიმი. მას ახლდა 1921, 1924, 1937 წლების მოვლენები. კომუნისტები სხვადასხვა მეთოდით ცდილობდნენ ადამიანების მოდრეკას და წელში გატეხვას. „ოცნებასაც“ უნდა ხალხი წელში გადატეხოს, დაამონოს და „დააჩმოროს“.

***— თქვენ მიერ ნახსენები წლები სისხლიანი და სასტიკი იყო და რაზე მიანიშნებთ?***

— ეს ხელისუფლებაც ყველაფერს აკეთებს ხალხის წინააღმდეგობის ჩასაკლავად. მაშინ მებრძოლ ხალხს თოფები ეკავა, ჩვენ დროშები და პლაკატები გვიჭირავს ხელში. ყველაზე საშინელება



ხალხის იმედგაცრუებაა. ამაში თავისი წვლილი შეიტანა სააკაშვილმა. ხალხს, რომელსაც მისი სჯეროდა, ბევრჯერ დაჰპირდა, ბიძინას დავამთავრებო. ჩამოსვლას აანონსებდა, მაგრამ ტყუილად.

***— ოპოზიციის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა, მას შემდეგ, რაც პროპორციული სისტემა არ გამოვიდა, ე.წ. გერმანულ-ქართული საარჩევნო სისტემა და მაჟორიტარების მრავალმანდატიანი არჩევნები გახდა. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების იმედი თუ გაქვთ?***

— იმედს მაძლევს აშშ-ისა და ევროკავშირის მორიგი განცხადებები. ხელისუფლების მოქმედება შემაშფოთებელია. ახალი წელი მოდის, საკმაოდ ცივა. აქციები შეიძლება მილევადი იყოს და დაშლისკენ წავიდეს. ამ დროს „ქართული ოცნება“ თავს არ ზოგავს, რომ პროტესტი გააცოცხლოს. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ 2007 წლის 7 ნოემბერი ბრუნდება.

***— რატომ გაქვთ ასეთი შთაბეჭდილება?***

— მაშინ აქციის მონაწილეებს თავს დაესხნენ მეეზოვეებად გადაცმული სპეცრაზმელები. თუ მანამდე აქციაზე პატარა ჯგუფი იყო, შემდეგ 20.000 და 30.000 კაცი გამოვიდა. ხომ ხედავთ, რა ხდება? ოდიოზური მოსამართლეები დაგვიმტკიცეს, პარლამენტის სხდომათა დარბაზში სხვა მიზეზის გამოც დიდი არეულობა იყო.

***— ვეტერინარული პრეპარატის დასხმა სხდომათა დარბაზში ზოგმა ტერაქტად შეაფასა. ზოგიერთი იურისტის აზრით კი, საქმის გამოძიება არასწორი მუხლითაა დაწყებული. მათი თქმით, ესაა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებზე თავდასხმა.***

— რაის ტერაქტი და თავდასხმა?! მომხდარი ერთ ანეკდოტს მაგონებს. საბავშვო ბაღში საახალწლო კარნავალისთვის ემზადებიან. ერთმა ბიჭმა მერცხლის ფორმა მოირგო, ერთმა გოგომ — ყვავილის. ჭიჭიკიამ აიტეხა, მე სულ ყავისფერები უნდა ჩავიცვაო. ჰკითხეს, რატომო. ყველას უნდა ჩაგისვაროთო. პარლამენტშიც ეს იყო.

***— ვინ მოიქცა ასე?***

— არ ვიცი. გამოძიება ჩემი საქმე არ არის.

***— ორგანიზაცია „სირცხვილია“ ხუმრობს? მომხდარზე პასუხისმგებლობას იღებს.***

— დარწმუნებული ვარ, პარლამენტს ეს ორგანიზაციაც დასცინის. ყველაზე უცნაურად იქცევა ხელისუფლება, რომელიც რამდენი ხანია, ძაბავს სიტუაციას და ცეცხლზე ნავთს ასხამს.

***— ხელისუფლება კონტრაქციებსაც მართავს. ერთ-ერთი აქცია 14 დეკემბერს თბილისში ევროპული ზეიმის კვირეულის ფარგლებში იმართება.***

— ეს ევროპული სახელები ხომ ყველაფერს უნდა მიაწებონ! გვაცხოვრებენ საბჭოთა კავშირში და გვაზეიმებენ ევროპას. ნებისმიერი აქცია არის ძალის დემონსტრირება. ოპოზიციის აქციებს თავისი დანიშნულება აქვს. ხელისუფლების აქცია კი სასაცილოა.

ხელისუფლება რომ ხარ, ისედაც ძალა გაქვს. ვის უწყობ აქციებს?! ხელისუფლება თავის აქციებზე ხალხის თბილისში ჩამოსაყვანად დიდ ფულს ხარჯავს. მძღოლებს 100-100 ლარს და 70 ლარის ბენზინს ჩუქნიან. ასევე მოერეკებიან ბაღებისა და სკოლების მასწავლებლებს, აიპებსა და სიპებში დასაქმებულებს. ამაზე ბრიფინგი ჩავატარე და ხელისუფლებას მოვუწოდე, ეს მილიონები სოციალურად დაუცველებს მოახმაროს.

***— ხელისუფლება იტყვის, რომ სოციალურად დაუცველებს შემწეობები აქვთ დანიშნული.***

— მაგაშია საქმე, რომ ამ შემწეობებს უხსნიან. მომმართეს ოჯახებმა, რომლებსაც ახლახან მოუხსნეს დახმარება. შე ოჯახაშენებულო, თუ ადამიანს დახმარებას უნიშნავ, ერთი, ორი ან სამი თვის მერე რატომ უხსნი?! ამას აკეთებს ერთი და იგივე ხალხი — სოციალური სამსახურის თანამშრომლები შემოწმების შემდეგ უნიშნავენ ადამიანებს შემწეობას, მერე იგივე პირები შემოწმების შემდეგ ამ დახმარებას უუქმებენ.

ეს რაღა უბედურებაა! მაღალჩინოსნებო, თქვენ რომ „ზეიმობთ“ და ამ „ზეიმზე“ ხალხის ჩამოსაყვანად მილიონებს ხარჯავთ, მშიერ ადამიანებზე არ ფიქრობთ?!

ასე თუ გაგრძელდა, მოგვიანებით, ალბათ, გაზაფხულისთვის მშიერი ხალხი დიდი რაოდენობით გამოვა ქუჩაში.

ხელისუფლება ამისთვის ყველაფერს აკეთებს.

# „ნადირაშვილი და ქებურია დარბაზიდან რომ გავიდნენ, თვალები ჩამილურჯდა და საშინელი სიმხურვალე ვიგრძენი“

## გიორგი გაჩეჩილაძე: „ეს ტერაქტი და ქიმიური შეტევა იყო“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის დარბაზში უცხო ნივთიერების გავრცელების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, მწვანეთა პარტიის ლიდერი **გიორგი გაჩეჩილაძე** პასუხობს.

***– ბატონო გიორგი, ბოლო დროს დიდი აურზაური იყო პარლამენტის გარეთაც, სადაც აქციის რამდენიმე მონაწილე დააპატიმრეს და შიგნითაც, სადაც რაღაც ნივთიერება მოასხეს, რამაც რამდენიმე ადამიანი მოწამლა. რასთან გვაქვს საქმე?***

– ნაცმოძრაობა გასცდა ყველა ზღვარს – ადამიანურს, პოლიტიკურს, სამართლებრივს. მომაკვდავი ორგანიზმი რომ ფართხალებს და ყველაფერს კადრულობს იმისთვის, რომ თავი გადაირჩინოს, ასეთ სიტუაციაშია ნაცმოძრაობა თავის განაყოფებთან ერთად.

რაც მათ 12 დეკემბერს იკადრეს, თავისი შინაარსით – თუ დამტკიცდა, რომ ტოქსიკური ნივთიერება იყო, რაც მოასხა პარლამენტის დარბაზში ორმა ქალბატონმა, ნადირაშვილმა და ქებურიამ – ყველა ზღვარს სცილდება.

***– თქვენ დაინახეთ?***

– ზევიდან დავინახე, რომ შემოვიდნენ და დამოუკიდებელ დეპუტატ ნატო ჩხეიძეს ელაპარაკებოდნენ თითქოს. კი გამიკვირდა, რა უნდათ-მეთქი, მაგრამ ყურადღება აღარ მივაქციე. ნადირაშვილი და ქებურია რომ გავიდნენ, პარლამენტის დარბაზში საშინელი ტოქსიკური სუნი დატრიალდა ისე, რომ ადამიანებს ალერგიული შეტევა დაეწყოთ.

მეც ალერგიული ვარ. სასწრაფო დახმარების ექიმებს წამალი გამოვართვი და დავლიე. რაღაც მოასხეს, რამაც თვალები ჩამილურჯა, საშინელი სიმხურვალე ვიგრძენი, ტიპური ალერგიული შეტევა მომივიდა, ფაქტობრივად, მოვიწამლე.

***– დადგინდა, რა სითხე იყო?***

– ალბათ, დაადგენენ. თუ დადგინდა, რომ მომწამვლელი ნივთიერება შემოიტანეს, ეს ტერაქტის მსგავსი მოქმედებაა.

***– ასეთი შეფასებები ზოგიერთს გაუკვირდა, თვითონ ნადირაშვილი კი ამბობს, არასწორი შეფასებებიაო.***

– არასწორი იყო თუ სწორი, ფაქტი ფაქტია – პარლამენტში ისეთი ნივთიერება შემოიტანეს და სასესიო დარბაზში დაასხეს, რომელმაც დეპუტატებში და სხვებშიც გამოიწვია ალერგიული რეაქციები.

პარლამენტის თანამშრომელი, რომელიც რამდენიმე წამით შემოვიდა დარბაზში, საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა. რამდენიმე ადამიანს სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანა დასჭირდა. მოწამვლის ფაქტი აშკარაა. როცა დაადგენენ, რა ნივთიერება იყო, კვალიფიკაციაც შესაბამისი უნდა იყოს.



***– პარლამენტის თავმჯდომარემ თქვა, ქიმიური შეტევა იყოო. ასეთი კვალიფიკაციის მიცემა შეიძლება?***

– რა თქმა უნდა, შეიძლება, თუმცა მე უფრო მკაცრ შეფასებას ვაძლევ, რადგან არ შეიძლება, მიხვიდე იქ, სადაც ადამიანები იმყოფებიან და მომწამვლელი ნივთიერება მოასხა, არ აქვს მნიშვნელობა, პარლამენტი იქნება თუ არა. რესტორანში ან კინოდარბაზში, სადაც ადამიანები იქნებოდნენ, ვინმე რომ შესულიყო და ტოქსიკური ნივთიერება მოესხა, რის გამოც ადამიანებს ალერგიული შეტევები მოსვლოდათ და ცუდად გამხდარიყვნენ, მაშინ რა შეფასება მისცემდით? გათავხედებულები არიან.

20 ივნისს, როდესაც პარლამენტში შემოჭრა უნდოდათ, 80 პოლიციელი დააზიანეს, სამწუხაროდ, მეორე მხრიდანაც ადამიანები დაზიანდნენ – პარლამენტში შემოჭრა უნდოდათ. პარალელურად, საშვები იყო დაშვებული უცხო ხალხზე, რომ პარლამენტი შიგნიდან დაეკავებინათ. რაც ახლა მოხდა, თავისი შინაარსით 20 ივნისის მოვლენების გაგრძელებაა.

***– ამ არეულ-დარეულობაში პარლამენტმა ნიკა მელიას უფლებამოსილება შეუწყვიტა. ამას თქვენც მიეცით ხმა?***

– რა თქმა უნდა. ეს არის ფორმალური მხარე. კონსტიტუციაში წერია, რომ როდესაც სასამართლო გამოიტანს განაჩენს და დანაშაულს დაადასტურებს, უფლებამოსილება უნდა შეუწყდეს.

***– სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება საჭირო არ არის? ხომ შეიძლება, პირველი ინსტანციის განაჩენი ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრდეს?***

– არ არის საჭირო. სხვათა შორის, სისხლის სამართლის კოდექსით, ნაცებამდე სხვაგვარად იყო. თვითონ ნაცმოძრაობამ სისხლის სამართლის კოდექსში შეიტანა ცვლილება. როდესაც პირველი ინსტანციის განაჩენი ძალაში შედის, პარლამენტმა უფლებამოსილება უნდა შეუწყვიტოს. ნაცები თავისივე დაგებულ მახეში აღმოჩნდნენ.

***– რაღაც არ მესმის – პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას როდესაც ასაჩივრებენ, განაჩენი ხომ არ შედის ძალაში?***

– კი, კი, განაჩენი იმწამსვე შედის ძალაში.

***– მაშინ გასაჩივრებას რა აზრი აქვს?***

– მერე თუ უნდა გაასაჩივროს და დამარცხდეს, შეიძლება, არ დამარცხდეს. შეიძლება, ამას დასჭირდეს ორი წელიწადი. ამიტომ, სისხლის სამართლის კოდექსით, როდესაც სასამართლო განაჩენს გამოიტანს, იმწუთშივე შედის ძალაში.

თუ გაასაჩივრებს და გამართლდება, მაშინ დეპუტატის უფლებამოსილება უნდა აღუდგეს.

***– თქვენ მოსამართლეობის რამდენ კანდიდატურას დაუჭირეთ მხარი?***

– 14 კანდიდატურას.

***– ითქვა, რომ მათ შორის, ვინც პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ გაამწესა, იუსტიციის ყოფილი მინისტრის, ადეიშვილის, მოადგილეებიც არიან. მათ მაინც რატომ დაუჭირეთ მხარი? ხომ შეიძლებოდა, მათთვის მაინც არ დაგეჭირათ?***

– მათ შორის, ვინც იუსტიციის საბჭომ წარმოადგინა (20 კანდიდატი იყო), შედარებით, ვისთვისაც შეიძლებოდა მხარდაჭერა, მათ დავუჭირეთ მხარი. წარმოიდგინეთ, უზენაეს სასამართლოში 4 ათასი საქმეა განუხილველი. ხალხი განხილვას ელოდება.

***– მესმის, მაგრამ, ხომ შეიძლებოდა, ადეიშვილის მოადგილეებისთვის მაინც არ დაგეჭირათ მხარი და დარჩენილიყო 12 კანდიდატი, არ შეიძლებოდა? ოპონენტებს სალაპარაკო რატომ დაუტოვეთ?***

– ადეიშვილის მოადგილე კი არ იყო, არამედ, მგონი, ადეიშვილის თანაშემწე გახლდათ.

***– თანაშემწეც არ არის ნაკლები.***

– არაფერი თანამდებობა ეგ არ არის. თანაშემწე შეიძლება ჰყავდეს და არავითარი ფუნქცია არ ჰქონდეს, გარდა იმისა, რომ ყავა და ჩაი მიჰქონდეს.

***– ცუდად კი გაჟღერდა, „ოცნების“ პარლამენტმა ადეიშვილის ორ მოადგილეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ გამწესებას მხარი დაუჭირა.***

– არ ვიცი, ასეთი რამ მათ ბიოგრაფიებში არ ეწერა. ყოველ შემთხვევაში, ვისი არჩევაც შესაძლებელი იყო, შედარებით უკეთესი გახლდათ, ავირჩიეთ იმისთვის, რომ უზენაესმა სასამართლომ თავისი მოვალეობა შეასრულოს.

არ შეიძლება, სასამართლო სისტემა პარალიზებული იყოს, იმდენი საქმე დაგროვდეს, ადამიანები სასამართლო გადაწყვეტილებებს წლობით ელოდებოდნენ.

***– ჯობდა, პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეების დანიშვნის დროიდან მიექციათ ამისთვის ყურადღება, ვიდრე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნამდე მივიდოდა საქმე.***

– არ ვიცი, მაგ საკითხში ვერ ვერკვევი.

***– რეფორმის პირველი და მეორე ტალღის პერიოდზე ვსაუბრობ.***

– მოსამართლეთა რაოდენობა პირველ ინსტანციაშიც ძალიან ცოტაა. იქაც თითო მოსამართლეს 400-500 საქმე აწერია. აქაც მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდაა საჭირო სწრაფად – ადამიანები 2 წელიწადი რატომ უნდა ელოდებოდნენ სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

***– იურისტთა მთელი არმიაა საქართველოში. უკეთესი კანდიდატურები რომ შეგერჩიათ, რა პრობლემა იქნებოდა?***

– მოსამართლეებს ჩვენ ხომ არ ვარჩევთ, იუსტიციის საბჭო არჩევს. ისინი აცხადებენ კონკურსებს.

***– ყოველ შემთხვევაში, მოსამართლეთა კორპუსის გაწმენდა-გაკეთილშობილება იყო საჭირო. ნაცმოძრაობით არის სისტემა სავსე.***

– მაშინ ყველა უნდა გამოყარო სასამართლო სისტემიდან. თქვენ თუ ასე გინდათ, არ ვიცი.

***– მე ის ვიცი, რომ სასამართლო სისტემისა და მოსამართლეთა კორპუსის ძირეული განახლება იყო საჭირო. მოკლედ რომ შევაჯამოთ, ზოგადად, როგორი დღე იყო?***

– ჩემთვის ძალიან მძიმე დღე იყო. ძალიან ბევრი რამ მინახავს. ძალიან დიდი ხანია, პოლიტიკაში ვარ. პარლამენტში შეიარაღებული ხალხის შემოვარდნაც მინახავს ჯერ კიდევ 90-იან წლებში.

***– თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსი რომ შემოვარდა პოლიციელებთან ერთად.***

– დიახ, ზეიკიძე რომ შემოვარდა შეიარაღებულ ხალხთან ერთად. პარლამენტში შეიარაღებული ხალხიც მინახავს – კიტოვანი და ავტომატებიანი ხალხი რომ დადიოდა. სამოქალაქო ომიც მინახავს. მინახავს ე.წ. ვარდების რევოლუციაც, სინამდვილეში ხელისუფლების გადაბარება რომ იყო და შემოცვივდნენ.

***– დიახ, შევარდნაძემ თქვა, სააკაშვილს ხონჩით მივართვი ხელისუფლებაო.***

– ხომ გახსოვთ? ამას კიდევ სხვა სიღრმეები აქვს. ამდენად, ბევრი რამ მინახავს, მაგრამ, ქიმიური ნივთიერება რომ დაესხათ პარლამენტის სასესიო დარბაზში ადამიანების მოწამვლის მიზნით, პოლიტიკურ ისტორიაში არსად გამიგია.

ასეთი რამ მხოლოდ საქართველოში მოხდა. ადამიანების მოწამვლის მიზნით ქიმიურ ნივთიერებებს ისლამური სახელმწიფო იყენებს.

---

# ირლანდიასა და ესპანეთში ქართული ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის 5 წევრი დააკავეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მიზნით, ევროპის ქვეყნებში წარგზავნილი პოლიციის ატაშეების მეშვეობით, კვლავ აქტიურად განაგრძობს თანამშრომლობას ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამართალდამცავ უწყებებთან, ინტერპოლსა და ევროპოლთან.

ქართველმა, ირლანდიელმა და ესპანელმა სამართალდამცველებმა, რამდენიმეთვიანი ინტენსიური თანამშრომლობის შედეგად, მიმდინარე წლის 9 დეკემბერს, დუბლინსა და ბარსელონაში ერთობლივად ჩატარებული სპეცოპერაციისას, ქართული ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები – საქართველოს 5 მოქალაქე დააკავეს.

სპეცოპერაცია „ნანდი-მომბასას“ შედეგად, ირლანდიის ქალაქ დუბლინში დაკავებული არიან: 1972 წელს დაბადებული ვ.ჯ., 1974 წელს დაბადებული ს.გ. და 1997 წელს დაბადებული თ.ბ., ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში კი – 1980 წელს დაბადებული დ.მ. და 1972 წელს დაბადებული მ.მ.

დაკავებულებს ბრალად ედებათ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრობა, ყალბი საბუთების შეძენა-შენახვა-დამზადება და უკანონო მიგრაციის ხელშეწყობა.

საქართველოს მოქალაქეების მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის ესპანეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულია 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა.

სამართალდამცველებმა ბრალდებულების დროებითი საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღეს დიდი ოდენობით პირადობის დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტები.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები დუბლინიდან ესპანეთის სხვადასხვა ქალაქში პერიოდულად აგზავნიდნენ ამანათებს (პირადობის დამადასტურებელ ყალბ საბუთებს), რომლებსაც საქართველოს ასეულობით მოქალაქე ირლანდიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში გადაადგილების მიზნით იყენებდა.

ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების გამოვლენის, ასევე, მათი კავშირების დადგენის და ოპერაციის დაგეგმვის მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, ირლანდიისა და ესპანეთის სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელდა ხანგრძლივი, კოორდინირებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებები.

ქართული დანაშაულებრივი დაჯგუფების წინააღმდეგ გამოძიება 2018 წლის ზაფხულში, მას შემდეგ დაიწყო, რაც ესპანეთის სამეფოში დაკავებულ იქნა საქართველოს არაერთი მოქალაქე, რომლებიც ირლანდიაში გადასვლას გაყალბებული საბუთებით ცდილობდნენ.

გამოძიების ფარგლებში მოხდა დანაშაულებრივი დაჯგუფების ლიდერების იდენტიფიცირება, გამოვლინდნენ ლიეტუვასა და სლოვაკეთში მოქმედი გაყალბებული დოკუმენტებით მოსარგებლე საქართველოს მოქალაქეები.

2018-19 წლების განმავლობაში ესპანეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ყალბი დოკუმენტების მფლობელი საქართველოს მოქალაქეების მიმართ უკვე განხორციელდა შესაბამისი სისხლისსამართლებრივი პროცედურები.

სპეცოპერაცია „ნანდი-მომბასას“ შედეგად დაკავებული საქართველოს 5 მოქალაქის მიმართ გამოძიება ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა. ამ მიმართულებით უწყება აქტიურად ახორციელებს ეფექტიან ღონისძიებებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, მის ფარგლებს გარეთ.

მიმდინარე წლის იანვრიდან დღემდე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ბელგიელ, ფრანგ, უკრაინელ, ესპანელ, ირლანდიელ, იტალიელ და ჩეხ კოლეგებთან საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის ფარგლებში, 12 მასშტაბური ერთობლივი ოპერაცია ჩაატარა, რომელთა შედეგად, მძიმე დანაშაულების ბრალდებით დაკავებულია კრიმინალურ სამყაროსთან დაკავშირებული საქართველოს 124 მოქალაქე, მათ შორის 3 ე.წ. „კანონიერი ქურდი“.

---

# თბილისის „მწვანე სკოლის“ ყოფილი მოსწავლე მე-9 სართულიდან გადახტა

## რა მოხდა სკოლაში და რას აბრალებენ პოლიციას

11 დეკემბერს თბილისის „მწვანე სკოლის“ ყოფილმა მოსწავლემ თვითმკვლელობა სცადა და კორპუსის მე-9 სართულიდან გადმოხტა.

ის სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა, თუმცა ამჟამადაც კლინიკაში კომატოზურ მდგომარეობაში იმყოფება.

ამ ფაქტს წინ უძღოდა „მწვანე სკოლის“ შიდა და გარე ტერიტორიაზე გაკეთებული წარწერები, რის გამოც არასრულწლოვანი პოლიციაში იყო დაბარებული.

საქმეზე გამოძიება სახელმწიფო ინსპექტორის აპარატმა დაიწყო, რომელმაც უნდა გაარკვიოს, ჰქონდა თუ არა ადგილი არასრულწლოვანზე ზეწოლას პოლიციის განყოფილებაში, რის შემდეგაც მან თვითმკვლელობა სცადა.

10 დეკემბერს 112-ზე განხორციელებული შეტყობინების საფუძველზე თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს პოლიციის პირველ განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე თბილისში, „მწვანე სკოლის“ შიდა და გარე ტერიტორიაზე გაკეთებული წარწერების ფაქტზე.

შეტყობინება 112-ში სკოლის უსაფრთხოების მენეჯერმა გააკეთა.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო და საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში საქმეზე მოწმის სახით გამოიკითხნენ საქმესთან შემხებლობაში მყოფი პირები. სკოლის უსაფრთხოების მენეჯერი, ამავე სკოლის მოსწავლე.

პოლიციის განყოფილებაში მოწმის სახით, მშობელთან ერთად, გამოიკითხა ამავე სკოლის ყოფილი მოსწავლე, რომელმაც უარყო „მწვანე სკოლის“ კედლების მოხატვა.

– მეორე დღეს, 11 დეკემბერს, არასრულწლოვანი, დამატებითი გამოკითხვის მიზნით, მშობლის ინიციატივით, მშობელთან ერთად კვლავ გამოცხადდა პოლიციის განყოფილებაში, თუმცა მოზარდმა უარი განაცხადა გამოკითხვაზე და დაახლოებით 40 წუთის შემდეგ მშობელთან ერთად დატოვა პოლიციის განყოფილება.



მშობლის გარეშე არასრულწლოვანის გამოკითხვა არც პირველ და არც მეორე დღეს არ მომხდარა. მოზარდის დედას პოლიციის განყოფილებაში პოლიციელების მიმართ პრეტენზია არ გამოუხატავს, – განაცხადეს შსს-ში.

აი, რა უთხრა სკოლის დირექტორმა კახა დავითურმა პრაიმტაიმს:

– ეს ბავშვი ცოტა ხნით სწავლობდა ჩვენთან, თუმცა შემდეგ მშობელმა სხვა სკოლაში გადაიყვანა. როგორც მითხრეს, თანხის გადახდის საშუალება აღარ ჰქონდათ.

სკოლის შენობაში შიგნით დატოვებული იყო ათასგვარი უხამსი წარწერა, ნიშნები, „ქურდებს სიცოცხლე“ და მსგავსი რაღაცები, როგორც ხდება ხოლმე. ეს მოხდა ღამე. დილით აღმოვაჩინეთ, რომ ვიღაც იყო შემოპარული და ასეთი წარწერები ჰქონდა დატოვებული.

ამოვიღეთ კამერების ჩანაწერები, მოვიდა პოლიციაც და მერე ამოიცნეს ეს ბავშვი, შესაბამისად, დაიბარეს პოლიციაში.

შსს-მ მოზარდის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო. 12 დეკემბერს კი გენერალურ ინსპექციაში შეტყობინება შევიდა და პოლიციის თანამშრომელი ზეწოლაში დაადანაშაულეს.

აღნიშნული შეტყობინება გენერალმა ინსპექციამ სახელმწიფო ინსპექტორის აპარატს გადასცა, სადაც ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

# ბორის ჯონსონის პარტია არჩევნებში დიდი უპირატესობით იმარჯვებს



დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო არჩევნებში კონსერვატორული პარტია, რომლის ლიდერიც პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონია, დიდი უპირატესობით იმარჯვებს და პარლამენტში უმრავლესობის მოპოვებასაც შეძლებს.

ეგზიტპოლის შედეგებმა აჩვენა, რომ კონსერვატორულ პარტიას პარლამენტში 368 წევრი ეყოლება, რაც 50-ით მეტია იმ მანდატების რაოდენობაზე, რაც პარტიამ 2017 წელს ჩატარებული არჩევნების შედეგად მიიღო.

— ჩვენ გავიმარჯვეთ და ეს უდიდესი მიღწევაა! ყველა ჩვენს მომხრეს ვულოცავ! — განაცხადა პრემიერმა ჯონსონმა.

კონსერვატორების მთავარი კონკურენტი, ლეიბორისტული პარტია, პარლამენტში 191 ადგილს მოიპოვებს.

შოტლანდიის ნაციონალურ პარტიას პარლამენტში 55 დეპუტატი ეყოლება, ლიბერალ-დემოკრატებს — 13, ბრექსითის პარტიას კი — არც ერთი.

Ipsos Mori-მ BBC-is ITV-სა და Sky News-ის დაკვეთით ჩატარებული ეგზიტპოლის ფარგლებში 144 საარჩევნო უბანზე 22,790 ამომრჩეველი გამოკითხა.

# გერმანიაში ინდოელი ჯაშუშები გაასამართლეს



ინდოელი ცოლ-ქმარი მაინის ფრანკფურტის სასამართლოს წინაშე წარდგა.

პროცესის შედეგად მათ დაუმტკიცდათ, რომ ინდოეთის სპეცსამსახურებთან იყვნენ დაკავშირებულნი და გერმანიის ტერიტორიაზე მყოფ ინდოელ ოპოზიციონერებს უთვალთვალებდნენ, მოპოვებულ ინფორმაციას კი ინდოეთის სპეცსამსახურებს აწვდიდნენ.

სასამართლომ ქმარს 1,5 წლით პირობითი სასჯელი (გამოსაცდელი ვადით) მიუსაჯა, ცოლს კი ჯარიმა აკმარა.

# ვეფხვისებური ზვიგენი სერფერს თავს დაესხა



ჰავაის კუნძულ მაუის სანაპირო წყლებში ვეფხვისებური ზვიგენი სერფერს თავს დაესხა და მისი წყალზე სასრიალო დაფა გადაკვნიტა.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა. 57 წლის ლარი ობერტო საპსერფინგით იყო დაკავებული, რომლის დროსაც სერფერი ზღვის ტალღებზე გასაბერი დაფით დაცურავს და ნიჩაბს იყენებს. ის ნაპირს დაახლოებით 180 მეტრით იყო მოშორებული, როდესაც მას თავს ვეფხვისებური ზვიგენი დაესხა. დაახლოებით სამი მეტრის სიგრძის მტაცებელმა თევზმა სერფერი გადმოაგდო და დაფა გადაკვნიტა.

ობერტომ დაუყოვნებლივ გაცურა იქვე მყოფი თავისი ახლობლის ეიჯეი გასტონისკენ და მასთან ერთად ამოვიდა წყლიდან. ახლობელი მაშინვე ვერ მიხვდა, რომ ობერტოს თავს ზვიგენი დაესხა.

— შევნიშნე, რომ წყალში ჩავარდა და გავიფიქრე: „რას აკეთებ, მანდ ახლოს ხომ ზვიგენია“, — იხსენებს გასტონი.

ახლობელმა ობერტო სასწრაფოდ თავის ნავში აიყვანა, წყლიდან მისი ჩაფუშული გასაბერი დაფაც ამოიღო და ნაპირისკენ გაცურა. მათი მტკიცებით, ზვიგენს მათი დევნა ნაპირამდე არ შეუწყვეტია.

აღნიშნული ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა. ხელისუფლებამ ადგილობრივ მოსახლეობასა და ტურისტებს ურჩია, დროებით ამ რაიონში წყალში ჩასვლისგან თავი შეიკავონ.

# სიზმარმა ამერიკელს ნახევარი მილიონი მოაგებინა




ამერიკის მიჩიგანის შტატის კუნძულ დრამონდში მცხოვრები მამაკაცი საკუთარ სიზმრებს ენდო და ლატარიაში მსხვილი თანხა მოიგო.

23 წლის ჯესი ფრავალა ამტკიცებს, რომ მან სამჯერ ნახა სიზმარი, რომელშიც ის ლატარიაში ჭილდ თიმე 500 ათას დოლარს იგებდა. მამაკაცმა სიზმრები წინასწარმეტყველურად ჩათვალა და მოგების იმედით რეგულარულად დაიწყო ლატარიის ბილეთების შეძენა.

— ლატარიის Wild Time-ს თამაში პირველივე სიზმრის ნახვის შემდეგ დავიწყე, — აღიარა ფრავალამ, — იმედი მქონდა, რომ ჩემი სიზმარი ახდებოდა.

საბოლოოდ იღბლიანმა ამერიკელმა ჯეკპოტი 500 ათასი დოლარი მოხსნა.

— მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ვერ ვიჯერებდი წარმატებას, ცრემლებიც კი წამომივიდა, — იხსენებს ამერიკელი.

ახლა ლატარიის გამარჯვებული მოგებული თანხით ახალი მანქანის ყიდვას აპირებს, ხოლო დარჩენილი თანხის ინვესტირებას გეგმავს.

# პატარძალი სასიძოს არ დაელოდა და სხვაზე გათხოვდა



ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატის ქალაქ ბიჯნორში პატარძალი დაგვიანებულ სასიძოს არ დაელოდა და ცოლად სხვა მამაკაცს გაჰყვა.

აღნიშნულ ინციდენტამდე ექვსი კვირით ადრე, წყვილმა სოფელ ნანგალიატში არაოფიციალური დაქორწინება იზეიმა, თუმცა გოგონა სიძის სახლში არ გადასულა, ვინაიდან წყვილს სურდა, რომ ჯერ ფორმალური ცერემონია გაემართათ.

შეყვარებულების ოჯახებს შორის უთანხმოება იყო. სიძის ნათესავები გამუდმებით მზითევს მოითხოვდნენ, მათ შორის ველოსიპედს და ფულს, პატარძლის ოჯახი კი ამის გაკეთებას არ აპირებდა.

ამ ყოველივეს შედეგად საპატარძლოს ნათესავებმა სასიძოს მხარის წარმომადგენლებს სცემეს და ისინი საქორწინო ცერემონიის ადგილზე ჩაკეტეს. ორივე ოჯახმა საჩივრით პოლიციას მიმართა, თუმცა შემდეგ შერიგდნენ.

მათ ურთიერთობაში მოთმინების ბოლო წვეთად სასიძოს ოფიციალურ ქორწინებაზე დაგვიანება იქცა. იმის მაგივრად, რომ დანიშნულ დროს მისულიყო, საგრძნობლად დაიგვიანა და პატარძალი და მისი ოჯახის წევრები გააბრაზა.

ამის გამო საცოლემ ქორწილი გადადო და სოფლის უხუცესების თანდასწრებით სულ სხვა მამაკაცს გაჰყვა ცოლად.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ევროკავშირი რუსეთს სანქციებს გაუგრძელებს



ბრიუსელში ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების ლიდერები შეიკრიბნენ.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ რუსეთის მიმართ სანქციები კიდევ 6 თვით გაგრძელდეს.

ამჟამინდელ სანქციებს ვადა ამა წლის 31 დეკემბერს გასდიოდა.

რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები 2020 წლის ივლისამდე გაგრძელდა.

# მოსკოვში ისლამური სახელმწიფოს 5 მებრძოლი დააკავეს



მოსკოვში ისლამური სახელმწიფოს 5 წევრი დააკავეს, რომლებიც რუსეთის დედაქალაქში ტერორისტულ თავდასხმებს გეგმავდნენ.

დაკავებულთა შორის რუსეთის 2 და ცენტრალური აზიის ქვეყნების 3 მოქალაქეა.

აღნიშნული პირების ჩხრეკის დროს ამოღებულია კალაშნიკოვის ტიპის იარაღი, მაკაროვის პისტოლეტი სხვადასხვა საბრძოლო მასალებთან და იმპროვიზებულ ასაფეთქებელ მოწყობილობებთან ერთად.

# ტრამპი ანტისემიტიზმის წინააღმდეგ



აშშ-ის პრეზიდენტმა ტრამპმა ხელი მოაწერა ბრძანებას ანტისემიტიზმის ნებისმიერ გამოვლინებასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა, რომ ამერიკის რიგ კოლეჯში ანტისემიტიზმის პრობლემა გამწვავდა და ამასთან შეგუება არ შეიძლება.

— ისრაელის სახელმწიფოს მიმართ ჩემზე უფრო მეგობრულად განწყობილი ამერიკელი პრეზიდენტი არ ყოფილა! — თქვა ტრამპმა.

ისრაელის პრემიერმა ნეტანიაჰუმ აშშ-ის ლიდერს მადლობა გადაუხადა და გამოთქვა რწმენა, რომ აშშ-ისრაელის ურთიერთობები უფრო მჭიდრო გახდება.

# ჟურნალისტ შერემეტის მკვლელობაში ეჭვმიტანილები დააკავეს



უკრაინის პოლიციამ ჟურნალისტ პავლე შერემეტის მკვლელობაში ეჭვმიტანილები დააკავა.

ამის თაობაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა არსენ ავაკოვმა განაცხადა.

— დასრულდა დიდი სამუშაო, — თქვა მან.

ერთ-ერთი დაკავებული ცნობილი როკმუსიკოსი, დონბასის ომის მონაწილე და ამ ომისადმი მიძღვნილი სიმღერების ავტორი ანდრეი ანტომენკოა; მეორე — იულია კუზმენკო.

უკრაინის პოლიციის შეფის, კოვალის, აზრით, მკვლელობის ორგანიზატორთა მიზანი უკრაინაში დესტაბილიზაციის გაღვივება იყო.

— შერემეტის მკვლელები შემსრულებლები იყვნენ. მთავარია, ვინ იყო დამკვეთი, — განაცხადა კოვალმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ


# განცხადებები

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცებისგაჯანსაღებისცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# სიტის ლონდონში მეთოფეები დახვდებიან



## სტატისტიკა, ფსონები

ამ უქმეებზე კონკრეტულად გამორჩეული მატჩი არ არის, მაგრამ ევროპის წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში რიგითი მატჩებიც საინტერესოა. ამიტომაც გულშემატკივარს მოსაწყენად მაინც არ ეცლება. ერთ მატჩს მაინც გამოვყოფთ – ინგლისის პრემიერლიგაში არსენალი საკუთარ მოედანზე დაუხვდება მანჩესტერ სიტის.

### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 14.12 ლივერპული-უოტფორდი | 1.18 | 7.25 | 14.00 |
| 14.12 ბარნლი-ნიუკასლი | 2.00 | 3.40 | 3.85 |
| 14.12 ჩელსი-ბორნმუთი | 1.25 | 6.25 | 10.50 |
| 14.12 შეფილდი-ასტონ ვილა | 1.85 | 3.65 | 4.15 |
| 14.12 ლესტერი-ნორვიჩი | 1.22 | 6.50 | 11.75 |
| 14.12 საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი | 1.90 | 3.80 | 3.80 |
| 15.12 ვულვზი-ტოტენჰემი | 3.25 | 3.40 | 2.20 |
| 15.12 მანჩესტერი-ევერტონი | 1.80 | 3.65 | 4.50 |
| 15.12 არსენალი-სიტი | 6.25 | 5.25 | 1.45 |
| 16.12 კრ.პალასი-ბრაიტონი | 2.55 | 3.20 | 2.95 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 16 | 15 | 1 | 0 | 40-14 | 46 |
| 2.ლესტერი | 16 | 12 | 2 | 2 | 39-10 | 38 |
| 3.სიტი | 16 | 10 | 2 | 4 | 44-19 | 32 |
| 4.ჩელსი | 16 | 9 | 2 | 5 | 31-24 | 29 |
| 5.მანჩესტერი | 16 | 6 | 6 | 4 | 24-19 | 24 |
| 6.ვულვზი | 16 | 5 | 9 | 2 | 23-19 | 24 |
| 7.ტოტენჰემი | 16 | 6 | 5 | 5 | 30-23 | 23 |
| 8.შეფილდი | 16 | 5 | 7 | 4 | 19-16 | 22 |
| 9.არსენალი | 16 | 5 | 7 | 4 | 24-24 | 22 |
| 10.კრ.პალასი | 16 | 6 | 4 | 6 | 14-18 | 22 |
| 11.ნიუკასლი | 16 | 6 | 4 | 6 | 17-23 | 22 |
| 12.ბრაიტონი | 16 | 5 | 4 | 7 | 20-24 | 19 |
| 13.ბარნლი | 16 | 5 | 3 | 8 | 21-29 | 18 |
| 14.ევერტონი | 16 | 5 | 2 | 9 | 19-28 | 17 |
| 15.ბორნმუთი | 16 | 4 | 4 | 8 | 18-24 | 16 |
| 16.ვესტ ჰემი | 16 | 4 | 4 | 8 | 18-28 | 16 |
| 17.ასტონ ვილა | 16 | 4 | 3 | 9 | 23-28 | 15 |
| 18.საუთჰემპტონი | 16 | 4 | 3 | 9 | 18-35 | 15 |
| 19.ნორვიჩი | 16 | 3 | 2 | 11 | 17-34 | 11 |
| 20.უოტფორდი | 16 | 1 | 6 | 9 | 9-30 | 9 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 14.12 პადერბორნი-უნიონი | 2.85 | 3.60 | 2.40 |
| 14.12 მაინცი-დორტმუნდი | 4.80 | 4.30 | 1.65 |
| 14.12 კიოლნი-ლევერკუზენი | 4.05 | 3.90 | 1.85 |
| 14.12 ჰერტა-ფრაიბურგი | 2.05 | 3.60 | 3.55 |
| 14.12 ბაიერნი-ვერდერი | 1.16 | 8.25 | 14.75 |
| 14.12 ფორტუნა-ლაიფციგი | 6.50 | 4.80 | 1.45 |
| 15.12 ვოლფსბურგი-გლადბახი | 2.65 | 3.45 | 2.65 |
| 15.12 შალკე-აინტრახტი | 2.00 | 3.75 | 3.55 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.გლადბახი | 14 | 10 | 1 | 3 | 30-16 | 31 |
| 2.ლაიფციგი | 14 | 9 | 3 | 2 | 38-16 | 30 |
| 3.დორტმუნდი | 14 | 7 | 5 | 2 | 33-19 | 26 |
| 4.შალკე | 14 | 7 | 4 | 3 | 25-18 | 25 |
| 5.ფრაიბურგი | 14 | 7 | 4 | 3 | 24-17 | 25 |
| 6.ლევერკუზენი | 14 | 7 | 4 | 3 | 22-18 | 25 |
| 7.ბაიერნი | 14 | 7 | 3 | 4 | 35-20 | 24 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 14 | 6 | 3 | 5 | 19-23 | 21 |
| 9.ვოლფსბურგი | 14 | 5 | 5 | 4 | 15-14 | 20 |
| 10.უნიონი | 14 | 6 | 1 | 7 | 18-19 | 19 |
| 11.აინტრახტი | 14 | 5 | 3 | 6 | 24-22 | 18 |
| 12.აუგსბურგი | 14 | 4 | 5 | 5 | 20-26 | 17 |
| 13.მაინცი | 14 | 5 | 0 | 9 | 20-34 | 15 |
| 14.ვერდერი | 14 | 3 | 5 | 6 | 22-29 | 14 |
| 15.ჰერტა | 14 | 3 | 3 | 8 | 20-29 | 12 |
| 16.ფორტუნა | 14 | 3 | 3 | 8 | 16-29 | 12 |
| 17.პადერბორნი | 14 | 2 | 2 | 10 | 17-32 | 8 |
| 18.კიოლნი | 14 | 2 | 2 | 10 | 12-30 | 8 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 14.12 გრანადა-ლევანტე | 2.00 | 3.55 | 3.70 |
| 14.12 სოსიედადი-ბარსელონა | 4.50 | 4.20 | 1.70 |
| 14.12 ბილბაო-ეიბარი | 1.70 | 3.55 | 5.50 |
| 14.12 ატლეტიკო-ოსასუნა | 1.40 | 4.25 | 9.50 |
| 15.12 ხეტაფე-ვალიადოლიდი | 1.65 | 3.50 | 6.00 |
| 15.12 სელტა-მალიორკა | 1.70 | 3.65 | 5.25 |
| 15.12 ესპანიოლი-ბეტისი | 2.55 | 3.35 | 2.75 |
| 15.12 სევილია-ვილიარეალი | 1.70 | 4.05 | 4.70 |
| 15.12 ვალენსია-რეალი | 3.65 | 3.90 | 1.95 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 15 | 11 | 1 | 3 | 41-18 | 34 |
| 2.რეალი | 15 | 10 | 4 | 1 | 32-11 | 34 |
| 3.სევილია | 16 | 9 | 4 | 3 | 20-15 | 31 |
| 4.სოსიედადი | 16 | 8 | 3 | 5 | 26-18 | 27 |
| 5.ხეტაფე | 16 | 7 | 6 | 3 | 24-16 | 27 |
| 6.ბილბაო | 16 | 7 | 5 | 4 | 19-12 | 26 |
| 7.ატლეტიკო | 16 | 6 | 8 | 2 | 16-10 | 26 |
| 8.ვალენსია | 16 | 7 | 5 | 4 | 26-23 | 26 |
| 9.გრანადა | 16 | 7 | 3 | 6 | 23-20 | 24 |
| 10.ოსასუნა | 16 | 5 | 8 | 3 | 22-18 | 23 |
| 11.ბეტისი | 16 | 6 | 4 | 6 | 22-27 | 22 |
| 12.ლევანტე | 16 | 6 | 2 | 8 | 20-25 | 20 |
| 13.ვილიარეალი | 16 | 5 | 4 | 7 | 28-24 | 19 |
| 14.ვალიადოლიდი | 16 | 4 | 7 | 5 | 14-18 | 19 |
| 15.ალავესი | 16 | 5 | 3 | 8 | 17-23 | 18 |
| 16.ეიბარი | 16 | 4 | 3 | 9 | 15-28 | 15 |
| 17.მალიორკა | 16 | 4 | 2 | 10 | 16-29 | 14 |
| 18.სელტა | 16 | 3 | 4 | 9 | 12-23 | 13 |
| 19.ლეგანესი | 16 | 2 | 3 | 11 | 11-27 | 9 |
| 20.ესპანიოლი | 16 | 2 | 3 | 11 | 10-30 | 9 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 14.12 ბრეშა-ლეჩე | 2.05 | 3.70 | 3.45 |
| 14.12 ნაპოლი-პარმა | 1.30 | 5.50 | 9.25 |
| 14.12 ჯენოა-სამპდორია | 2.65 | 3.25 | 2.75 |
| 15.12 ვერონა-ტორინო | 2.75 | 3.15 | 2.70 |
| 15.12 მილანი-სასუოლო | 1.55 | 4.40 | 5.50 |
| 15.12 იუვენტუსი-უდინეზე | 1.22 | 6.00 | 13.25 |
| 15.12 ბოლონია-ატალანტა | 3.75 | 3.90 | 1.90 |
| 15.12 რომა-სპალი | 1.30 | 5.50 | 10.25 |
| 15.12 ფიორენტინა-ინტერი | 3.55 | 3.50 | 2.05 |
| 16.12 კალიარი-ლაციო | 3.95 | 4.00 | 1.85 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 15 | 12 | 2 | 1 | 31-13 | 38 |
| 2.იუვენტუსი | 15 | 11 | 3 | 1 | 26-15 | 36 |
| 3.ლაციო | 15 | 10 | 3 | 2 | 36-15 | 33 |
| 4.კალიარი | 15 | 8 | 5 | 2 | 31-19 | 29 |
| 5.რომა | 15 | 8 | 5 | 2 | 26-15 | 29 |
| 6.ატალანტა | 15 | 8 | 4 | 3 | 37-23 | 28 |
| 7.ნაპოლი | 15 | 5 | 6 | 4 | 24-19 | 21 |
| 8.პარმა | 15 | 6 | 3 | 6 | 21-18 | 21 |
| 9.ტორინო | 15 | 6 | 2 | 7 | 18-21 | 20 |
| 10.მილანი | 16 | 6 | 2 | 7 | 16-19 | 20 |
| 11.ვერონა | 15 | 5 | 3 | 7 | 14-17 | 18 |
| 12.ბოლონია | 15 | 4 | 4 | 7 | 22-26 | 16 |
| 13.ფიორენტინა | 15 | 4 | 4 | 7 | 19-23 | 16 |
| 14.სასუოლო | 14 | 4 | 3 | 7 | 26-27 | 15 |
| 15.ლეჩე | 15 | 3 | 6 | 6 | 20-29 | 15 |
| 16.უდინეზე | 15 | 4 | 3 | 8 | 10-24 | 15 |
| 17.სამპდორია | 15 | 3 | 3 | 9 | 12-25 | 12 |
| 18.ჯენოა | 15 | 2 | 5 | 8 | 17-30 | 11 |
| 19.ბრეშა | 14 | 3 | 1 | 10 | 11-26 | 10 |
| 20.სპალი | 15 | 2 | 3 | 10 | 9-22 | 9 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 14.12 მეცი-მარსელი | 4.55 | 3.60 | 1.80 |
| 14.12 ამიენი-დიჟონი | 2.05 | 3.35 | 3.80 |
| 14.12 ტულუზა-რეიმსი | 3.20 | 3.15 | 2.40 |
| 14.12 ანჟე-მონაკო | 3.10 | 3.50 | 2.25 |
| 14.12 ბრესტი-ნიცა | 2.65 | 3.35 | 2.65 |
| 14.12 ნიმი-ნანტი | 3.30 | 3.15 | 2.35 |
| 15.12 ბორდო-სტრასბური | 2.25 | 3.20 | 3.40 |
| 15.12 ლიონი-რენი | 1.70 | 3.85 | 4.95 |
| 15.12 სტ.ეტიენი-პსჟ | 7.50 | 5.25 | 1.40 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 16 | 13 | 0 | 3 | 35-9 | 39 |
| 2.მარსელი | 17 | 10 | 4 | 3 | 25-13 | 34 |
| 3.ლილი | 17 | 8 | 4 | 5 | 21-15 | 28 |
| 4.რენი | 16 | 8 | 3 | 5 | 22-17 | 27 |
| 5.ბორდო | 17 | 7 | 5 | 5 | 28-20 | 26 |
| 6.ნანტი | 17 | 8 | 2 | 6 | 15-16 | 26 |
| 7.ლიონი | 17 | 7 | 4 | 6 | 28-16 | 25 |
| 8.სტ.ეტიენი | 17 | 7 | 4 | 6 | 21-23 | 25 |
| 9.რეიმსი | 16 | 6 | 6 | 4 | 14-9 | 24 |
| 10.მონპელიე | 17 | 6 | 6 | 5 | 21-17 | 24 |
| 11.მონაკო | 16 | 7 | 3 | 6 | 26-25 | 24 |
| 12.ანჟე | 17 | 7 | 3 | 7 | 20-23 | 24 |
| 13.ნიცა | 17 | 7 | 2 | 8 | 25-27 | 23 |
| 14.ბრესტი | 17 | 5 | 6 | 6 | 21-20 | 21 |
| 15.სტრასბური | 17 | 6 | 3 | 8 | 20-23 | 21 |
| 16.დიჟონი | 17 | 4 | 4 | 9 | 11-19 | 16 |
| 17.ამიენი | 16 | 4 | 4 | 8 | 19-31 | 16 |
| 18.მეცი | 17 | 3 | 6 | 8 | 14-25 | 15 |
| 19.ტულუზა | 17 | 3 | 3 | 11 | 19-35 | 12 |
| 20.ნიმი | 16 | 2 | 6 | 8 | 12-28 | 12 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# „ზაზა, უბრალოდ, გვიყვარდა“

## ზაზა ურუშაძე საბურთალოს სასაფლაოზე დაკრძალეს



53 წლის ასაკში გულის შეტევით გარდაცვლილი რეჟისორი ზაზა ურუშაძე საბურთალოს სასაფლაოზე დაკრძალეს.

იგი სიონის ტაძარში დაასვენეს, სადაც მასთან გამოსამშვიდობებლად მივიდნენ პოლიტიკოსები, მისი კოლეგები, მსახიობები, ოპერატორები, რიგითი მაყურებლები.

**ჟანრი ლოლაშვილი, მსახიობი:**

– ერთი დიდი ხელოვანი გამოაკლდა ჩვენს ქვეყანას. არაჩვეულებრივი ადამიანი, განსაკუთრებული მეგობარი. ზაზამ ქართულ კინოხელოვნებაში შემოიტანა სრულიად ახალი ესთეტიკა. ამ კაცმა ძალიან ბევრი საინტერესო რამ დააფუძნა და ვარ ბედნიერი, რომ მასთან მომიწია მუშაობა.

**მურმან ჯინორია, მსახიობი:**

– ქართულ კინოს სახე თუ ჰქონდა და ჰქონდა 60-იანი წლებიდან დაწყებული ჩვენი ძვირფასი რეჟისორების დამსახურებით, მე ვფიქრობ, ერთ-ერთი ამ გზის გამგრძელებელი იყო ზაზა. ის კინოს იღებდა იმისთვის, რომ ეთქვა თავისი სათქმელი.

**ზურა მაღალაშვილი, მსახიობი:**

– რა შეიძლება ზაზაზე ვთქვათ? ზაზა, უბრალოდ, გვიყვარდა. არასოდეს გვიფიქრია, როგორი ადამიანია, როგორი პიროვნებაა. უბრალოდ, გვიყვარდა. მისი ხმა, მისი ჰაბიტუსი ყოველთვის სიხარულის მომტანი იყო. მას ყოველთვის უწევდა ძალიან რთული საქმეების მოგვარება. ის იყო ჩვენი თაობის ერთგვარი ყინულმჭრელი. გვეგონა, რომ მას არანაირი პრობლემა, არანაირი დარდი არ აქვს. მოხდა ისე, რომ თურმე მას სჭირდებოდა გვერდში დგომა, დახმარება და ჩვენ ზაზა ვერ დავიცავით.

**გიორგი ოვაშვილი, რეჟისორი:**

– როცა ვფიქრობ იმ რეალობაზე, რომელიც დადგა ზაზასთან დაკავშირებით, ვცდილობ, ეს ფიქრები ჩემამდე არ მოვუშვა. რომც მოვუშვა, მაინც არ მჯერა. ეს არ არის ემოციური ნათქვამი, უბრალოდ, არ იღებს ამ რეალობას ჩემი არც ცნობიერი და არც არაცნობიერი.

**ბესო სოლომანაშვილი, რეჟისორი:**

– გაუთავებლად სხვის მაგივრად იხდიდა ბოდიშებს. არადა, არანაირი ბოდიშები არ ჰქონდა მას მოსახდელი, იმიტომ, რომ ვიცოდი, რა ხდებოდა. გულდასაწყვეტია ასეთი ნიჭიერი ადამიანის ნაადრევი გარდაცვალება.

**ლიკუნა რევიშვილი, ზაზა ურუშაძის თანაშემწე:**

– ეს ამბავი გამახსენდა: რამდენიმე თვის წინ მირეკავს ცოტა გაბრაზებული ტონით:

– ახლა იცი, რა მოხდა, გოგო?

– რა ხდება, ზაზუკ, ბიჭო! – ხუმრობით ვუპასუხე.

– ოკუპანტი ქვეყნიდან დამიკავშირდნენ. ძალიან დიდ ჰონორარს გადაგიხდით, აქ თუ ჩამოხვალთ და გადაიღებთო.

გამეცინა, ზუსტად ვიცი, როგორც გაბრაზდებოდა.

– ჰოდა, ასე ვუთხარი, ჯერ ეს ჯარი გაიყვანეთ, მერე სამაჩაბლო და აფხაზეთი დააბრუნეთ და მე სულ უფასოდ გადაგიღებთ ფილმებს და დავუკიდე ყურმილიო.

ჯერ ისევ მიჭირს ამ რეალობის გაცნობიერება, ამას არ მივიღებ, ისე არ – როგორც მჩვევია ვილაცების და რალაცების არმიღება. ახლა რასაც ვაანალიზებ და ვხვდები, ის არის, რომ ძალიან სწორი, კარგი და ღირსეული მოქალაქე დააკლდება ზაზას სახით ჩვენს სამშობლოს. ამიტომაც ყველას ერთად გითანაგრძნობთ!

# მედდამ ახალშობილი უშვილო დეიდისთვის მოიპარა



პაკისტანის პროვინცია ბელუჯისტანში მედდამ საავადმყოფოდან ახალშობილი ტყუპისცალი თავისი უშვილო დეიდისთვის მოიპარა.

პოლიციის ინფორმაციის თანახმად, აბდულ ჰამიდმა თავისი ფეხმძიმე მეუღლე ჯამილა ბიბი ქალაქ ლორალაის საავადმყოფოში მიიყვანა. მშობიარობის შემდეგ ოჯახს ახალდაბადებული გოგონა გადასცეს და მათ სახლში დაბრუნების უფლება მისცეს.

ბიბი გონებაზე საბოლოოდ ორი დღის შემდეგ მოვიდა. იმ დროისთვის კი მისი ახალშობილი გოგონა გარდაიცვალა.

– მან მკითხა, სადაა ჩემი მეორე გოგონა, – აცხადებს ჰამიდი, – მისმა ამ კითხვამ გაგვაოგნა.

მამაკაცმა დაუყოვნებლივ მიმართა პოლიციას, რის შემდეგაც საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილების მორიგე დააკავეს. მედდამ ყველაფერი აღიარა და სამართალდამცავებს აცნობა მისამართი, სადაც ახალშობილი მიიყვანა.

გაირკვა, რომ ბავშვის მოპარვაში მას ორი კოლეგა დაეხმარა. მედდამ ახალშობილი თავის დეიდას გადასცა, რომელიც 17 წლის გათხოვილი იყო, მაგრამ ერთხელაც არ დაფეხმძიმებულა. მედდის თქმით, მის ნათესავს ძალიან უნდოდა ბავშვი.

პოლიციამ ბავშვის მოტაცების მოთავე, მისი დეიდა და მის ორი თანამზრახველი დააპატიმრა. მოპარული ბავშვი დედას დაუბრუნეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი სვანური სოფელი; 2. კათოლიკე მღვდელი ბელგიასა და საფრანგეთში; 3. მწვანე ფერის ნაყოფის მქონე ციტრუსოვანი მცენარე; 4. ფულის გამოძალვა; 6. ნახევრად გამჭვირვალე, მაღალხარისხოვანი ბამბის ქსოვილი; 9. რაჭასა და ლეჩხუმში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 11. ლუდხანის ოფიციანტი გერმანიაში; 15. აჭარული ცეკვა; 16. მიწაში ან შენობის კედელში დამაგრებული ნიშანი იმ წერტილის აღსანიშნავად, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან განსაზღვრულია ნიველირების გზით; 17. წითელი ფერის მშრალი ქართული სამარკო ღვინო; 19. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 21. ზამბარიანი ხელის სასწორი; 22. იმრე კალმანის ოპერეტა.

**თარაზულად:** 5. ხევსურული ტანსაცმელი; 7. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 8. თვალის კაკლის გარეთა თეთრი გარსი; 10. ბეისბოლისტის ერთ-ერთი ამპლუა; 12. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა; 13. ლათინური ანბანის ბოლო ასო; 14. მრავალი ენის მცოდნე ადამიანი; 18. სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში; 20. სამურაების მეთაური; 23. ყველაზე დიდი ქალაქი ტეხასის შტატში; 24. კოლოს ძველი ქართული სახელწოდება; 25. დესერტი, ტკბილეული; 26. ჩინელ იმპერატორთა დინასტია; 27. მონასტერი დუშეთის რაიონში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ჯარა; 2. რიქშა; 3. შვეიკი; 5. პარმა; 6. ჩურჩხელა; 8. ბანგლადეში; 10. სტატიკა; 12. სისტოლა; 14. აფრიკა; 15. მიმინო; 16. სტელა.

**თარაზულად**: 1. ჯულღური; 4. აპალაჩი; 7. მექისე; 9. კოზაკი; 11. ინფანტა; 12. საინგილო; 13. სტელსი; 17. თოფუზი; 18. რელე; 19. ალტრუიზმი; 20. ვილაიეთი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. რინერი; 2. ბირჟა; 3. ელიავა; 4. უჯარმა; 6. პროექტი; 9. საარი; 11. ბიშკეკი; 15. ალარმისტი; 16. დაბალი; 17. მუჰამედი; 19. იღუმენი; 21. რუბენსი; 22. კრუიფი.

**თარაზულად**: 5. ყინწვისი; 7. რონდელი; 8. საუნჯე; 10. მაღრაძე; 12. მძივი; 13. რკინა; 14. ბერნადოტი; 18. ტოკაი; 20. ფატუმი; 23. ტრამპი; 24. ბეკი; 25. მუღამი; 26. ფეტა; 27. ფსიქოზი.

# „სუხიშვილები“ და ნიაზ დიასამიძე ერთობლივ კონცერტს გამართავენ

ანსამბლი „სუხიშვილები“ და ნიაზ დიასამიძე ერთობლივ კონცერტს 15 დეკემბერს გამართავენ. მათთან ერთად კონცერტში მონაწილეობას მიიღებს ჯგუფი „რეგიონიც“.

საღამოს ორგანიზატორია ფონდი „ცხოვრება მშვენიერია“. თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ კონცერტზე მასში მონაწილე ხელოვანები განსაკუთრებულ საკონცერტო პროგრამას წარმოადგენენ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# აფთრებმა მოჩხუბარ ლომებს ნადავლი ცხვირწინ ააცალეს

ტანზანიის სერენგეტის ეროვნულ პარკში არეხის ექსპედიციის მონაწილეები ორი ლომის სხვა პრაიდთან ნადავლის გამო შებრძოლების თვითმხილველები გახდნენ. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო იუთუბიზე იქნა გამოქვეყნებული.

კადრებზე ჩანს, თუ როგორ შეექცევა ლომების პრაიდი ნადავლს. მათ გარშემო თანდათან აფთრები იყრიან თავს, თუმცა მიახლოებას ვერ ბედავენ.

რამდენიმე წამის შემდეგ ორი მოზრდილი ლომი გამოჩნდა და აფთრები მათ დანახვაზე მიმოიფანტნენ.. ერთ-ერთი ძუ ლომი ნადავლს თავს ანებებს და დაუპატიჟებელ სტუმრებს ულრენს. თუმცა მომხდურებმა მაინც იძალეს და მოკლული ცხოველის ჭამას შეუდგნენ.

მალე ლომების წყვილმა მთელი პრაიდის მოახლოება შენიშნა და ნადავლს თავი დაანება. ამჯერად პრაიდმა მოახერხა მომხდურების გარეკვა. თუმცა, სანამ ლომები ურთიერთობას არკვევდნენ, აფთრები მკვდარ ცხოველს დაესივნენ, დაგლიჯეს და გაიტაცეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


14 დეკემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი



აშშ დოლარი — 2.8647



ევრო — 3.2024



ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8341



100 რუსული რუბლი — 4.5362

## ამინდის პროგნოზი 14 დეკემბერი







## 17 დეკემბრიდან

ოტია იოსელიანი

## მუხლებზე დაწერილი და მტრედებს გამოტანებული ბარათები

**ფასი გაზეთთან ერთად 9,5 ლარი**

## ირაკლი კვირიკაძე საუკეთესო მსახიობი მამაკაცის ნომინაციაზე წარადგინეს



ქართველი მსახიობი ირაკლი კვირიკაძე ვენის საერთაშორისო კინოფესტივალზე საუკეთესო მსახიობი მამაკაცის ნომინაციაზე წარადგინეს.

ის მაყურებელმა რეზო გიგინეიშვილის ფილმ „მძევლებით“ გაიცნო, რასაც მოჰყვა თანამშრომლობა სხვადასხვა უცხოელ რეჟისორთან.

ირაკლიმ მონაწილეობა მიიღო რეჟისორ სემ ლიტოვჩინის მოკლემეტრაჟიან ფილმში „მგზავრი“, სადაც მთავარი როლი შეასრულა. სწორედ ამ ფილმში შესრულებული როლისთვის მოხვდა იგი ვენის საერთაშორისო კინოფესტივალზე საუკეთესო მსახიობი მამაკაცის ნომინაციაში.

სემ ლიტოვჩინის ფილმი საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმის ნომინაციაზეც არის წარდგენილი.

ირაკლი კვირიკაძემ მონაწილეობა მიიღო ფილმში „ახლა არის ყველაფერი“, სადაც გადასაღებ მოედანზე ქართველი მსახიობი და მსოფლიო ვარსკვლავი ენტონი ჰოპკინსი ერთად მოხვდნენ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



### 14 დეკემბრისათვის

**ვერძი** — დათრგუნავთ შიშსა და ეჭვებს. შესაძლოა, საქმიანი და თქვენთვის ხელსაყრელი წინადადება მიიღოთ. **კურო** — ნუ იქნებით მეტისმეტად კატეგორიული. წინდაუხედაობის გამო, შესაძლოა, დიდი პრობლემები შეგექმნათ. **ტყუპები** — ილუზიებსა და ცრუ დაპირებებს ნუ აჰყვებით. აჩქარება საქმეს მხოლოდ ავნებს. **კირჩხიბი** — ნურავის მიენდობით. დიდია მოტყუების ალბათობა. დაკავდით სპორტით. **ლომი** — შემოქმედებითი საქმიანობა გაამართლებს. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი სრულყოფილად გამოიყენოთ. რჩევისათვის მეგობრებს მიმართეთ. **ქალწული** — სასიცოცხლო ძალები სუსტდება. მძიმე წუთებში დახმარება მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებს სთხოვეთ. **სასწორი** — გადით ქალაქგარეთ, ივარჯიშეთ. საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საღამოს ოჯახში სიტუაცია გეძაბებათ. **ღრიანკალი** — საიდუმლოს ნურავის გაუმხელთ. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ. მშვიდი დღეა. **მშვილდოსანი** — გეგმები გულმოდგინედ შეიმუშავეთ. სანამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებთ, კარგად დაფიქრდით. **თხის რქა** — სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. დაწყებული საქმის დამთავრება გაგიჭირდებათ, თუმცა სასურველ მიზანს მაინც მიაღწევთ. **მერწყული** — კომერციული ოპერაციებისათვის კეთილისმყოფელი დღეა. კოლექტიური მუშაობა შემოსავლის გაზრდის გარანტიაა. **თევზები** — ნაყოფიერ მუშაობაში ხელს შურიანები და არაკეთილმოსურნეები შეგიშლიან. ფინანსური მდგომარეობა არასახარბიელოა.

### 15 დეკემბრისათვის

**ვერძი** — კოლეგებთან და პარტნიორებთან გაუგებრობა თქვენს საქმიანობაზე ნეგატიურად აისახება. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. ახალი საქმის დაწყება რეკომენდებული არ არის. **კურო** — ერიდეთ საქმის გარჩევას საყვარელ ადამიანთან. სამსახურში ძალზე ყურადღებიანი და ფრთხილი უნდა იყოთ. **ტყუპები** — კეთილისმყოფელი დღეა. გიმართლებთ ბიზნესში, ვაჭრობაში. გელით მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. **კირჩხიბი** — იზრუნეთ კარიერულ წინსვლაზე. თქვენი მიზანდასახულობა და შრომისმოყვარეობა დაფასდება. **ლომი** — წინააღმდეგობრივი დღეა. შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. **ქალწული** — ყურადღებით იყავით, განსაკუთრებით — სამსახურში. წინდაუხედაობამ, შესაძლოა, დაგაზარალოთ. **სასწორი** — მეგობრები და ახლობლები ნებისმიერ სიტუაციაში დაგეხმარებიან. მიენდეთ მათ. **ღრიანკალი** — ნუ აჩქარდებით. სიტუაცია გულმოდგინედ გააანალიზეთ და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ. **მშვილდოსანი** — კომერციულ საქმიანობაში გიმართლებთ. ვარსკვლავების განლაგება ამაში გეხმარებათ. **თხის რქა** — თქვენს თავშეკავებასა და გონიერებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ერიდეთ ემოციების გამოხატვას. **მერწყული** — ენერგია გემატებათ. ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. ჩანაფიქრის განხორციელებას ადვილად მოახერხებთ. **თევზები** — ეცადეთ, საკუთარ გრძნობებში გაერკვეთ. თამამად გარისკეთ. ახალი საქმის დაწყებაში პლანეტები ხელს გიწყობენ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ექიმი პაციენტს ეუბნება:
— ახლა მე თქვენ წამალს გამოგიწერთ და მას დღეში ოთხჯერ ჭამის შემდეგ მიიღებთ.
— რას ამბობთ ექიმო, მაგდენი საჭმელი რომ მქონდეს, თქვენთან კი არ მოვიდოდი.

•••

სტუმარი მასპინძელს ეკითხება:
— თქვენს მეუღლეს როგორი უცნაური აქცენტი აქვს, საიდანაა?
— ღვინის მარნიდან.

•••

მედდა ავადმყოფს:
— გაიღვიძეთ! გაიღვიძეთ! გა-იღ-ვი-ძეეთ!
— რა მოხდა?
— არაფერი, ძილის წამალი მოგიტანეთ, დალიეთ!

•••

სავაჭრო ცენტრში პატარა ბიჭი დაიკარგა და ტირის. მოზრდილები მის დამშვიდებას ცდილობენ და ურჩევენ:
— დედის კაბის კალთას უნდა ჩასჭიდებოდი და ხელი არ უნდა გაგეშვა!
— ვცდილობდი, მაგრამ ვერ შევწვდი...

•••

მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:
— გივი, ვინ გინდა იყო, როდესაც გაიზრდები?
— როდესაც გავიზრდები, მინდა ცოლი მოვიყვანო, რომ მას ვუყიდო ბრილიანტები, ძვირფასი ქურქები, ვატარო ძვირფას რესტორნებში და ბოლო მოდელის ფერარი ვუყიდო.
— ყოჩაღ, გივი, დაჯექი! და შენ გიგი?
— ადრე მინდოდა კოსმოსში გავფრენილიყავი, მაგრამ ახლა მინდა, გივეს ცოლი ვიყო.

•••

ზოოპარკში გალიასთან ქალი დგას და კითხულობს:
— ნეტა ეს გორილა ქალია თუ კაცი?
ამ დროს გვერდით მდგომი მამაკაცი ეუბნება:
— ლამაზო, კაცი ისაა, ვისაც ფული აქვს, ხოლო უფულო, უბრალოდ მამრია!!!

•••

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:
— წარმოგიდგენია, სამსახურში ჩემმა უფროსმა გუშინწინ ლალისთვლიანი ბეჭედი მაჩუქა, გუშინ ძვირფასი ბეწვის ქურქი, დღეს კი ხელი მთხოვა.
— ნაძირალა, ეკონომია დაიწყო...

•••

გოგო ბიჭს ეკითხება:
— პაემანზე მოხვედი და ყვავილები არ მომიტანე?
— ყვავილებიანი ტრუსიკი მაცვია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კლოპმა ლივერპულთან კონტრაქტი გაახანგრძლივა



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა გუნდთან ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომლის მიხედვითაც, ის ლივერპულში 2024 წლის ჩათვლით დარჩება.

კლოპმა განაცხადა, რომ ლივერპულში ძალიან ბედნიერია და კიდევ დიდხანს სურს ამ კლუბში ყოფნა.

კლოპის პერიოდში ლივერპულმა ძალიან დიდი პროგრესი განიცადა და გუნდმა შეძლო 2019 წელს ჩემპიონთა ლიგის მოგება, წელს კი კლოპის შეგირდები ინგლისის ჩემპიონატში არავის უთმობენ პირველობას.

ფიფამ იურგენ კლოპი 2019 წლის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელა.

## გვარდიოლამ სიტის ფეხბურთელები დასაჯა



ბოლო პერიოდში მანჩესტერ სიტი არ აჩვენებს სტაბილურად კარგ შედეგს, რის გამოც გუნდი უკვე 14 ქულით ჩამორჩება ლიდერ ლივერპულს.

როგორც ჩანს, გვარდიოლამ გადაწყვიტა, რომ ზომები მიიღოს და მან საშობაო ღონისძიება გააუქმა, რომელიც ყოველ წელიწადს იმართებოდა და მას სიტის ყველა თანამშრომელი ესწრებოდა.

ეს გადაწყვეტილება ნიშანია იმის, რომ სიტიმ უნდა მოუმატოს და ფეხბურთელებმა კონცენტრაცია მხოლოდ ფეხბურთზე უნდა გააკეთონ.

## ბაიერნმა, შესაძლოა, კოუტინიო გამოისყიდოს



მიუნხენის ბაიერნის სპორტულმა დირექტორმა კარლ ჰაინც რუმენიგემ განაცხადა, რომ მათ ჯერ არ მიუღიათ გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, გამოისყიდონ თუ არა ფელიპე კოუტინიო, რომელზეც უფლებები ბარსელონას ეკუთვნის.

კოუტინიო ბაიერნში ორწლიანი იჯარით თამაშობს და ჯერჯერობით საკმაოდ კარგად გამოიყურება, მაგრამ მისგან მეტს ელიან.

კოუტინიოში ბარსელონამ ლივერპულს 2018 წელს 150 მილიონი გადაუხადა, მაგრამ ბრაზილიელმა გაცემული ავანსები ვერ გაამართლა, რის შემდეგაც ის ბაიერნში გაანათხოვრეს.

## ერლინგ ჰოლანდი დორტმუნდის ბორუსიას მიუახლოვდა




წლევანდელი სეზონის აღმოჩენა ნორვეგიელი ფორვარდი ერლინგ ჰოლანდი შესაძლოა დორტმუნდის ბორუსიაში გადავიდეს სათამაშოდ.

ჰოლანდი ამჟამად ავსტრიული ზალცბურგის ღირსებას იცავს და მან ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე 8 გოლის გატანა მოახერხა, თუმცა ზალცბურგი ჯგუფიდან მაინც ვერ გავიდა.

ჰოლანდი ამჟამად დორტმუნდშია, სადაც ადგილობრივი გუნდის ვარჯიშებს ესწრება და პარალელურად მოლაპარაკებებს აწარმოებს.

შესაძლოა, ტრანსფერი უკვე იანვარში განხორციელდეს, თუმცა ზალცბურგი ჰოლანდის იოლად დათმობას არ აპირებს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## სასიძოს საპატარძლოს ქორწილის წინ სტრიპტიზიორებთან უღალატა



ბრიტანელმა ქალბატონმა, რომელიც მოღალატე მეუღლეების გამოაშკარავებით არის დაკავებული, თავისი კლიენტის საქმრო ქორწილის წინა დღეს ღალატში გამოიჭირა.

სამი წლის წინ 36 წლის ტიფანი რაიტმა ოქსფორდშირის საგრაფოს ქალაქ ჩიპინგ-ნორტონიდან დააარსა კომპანია, რომელიც მომავალ ახლად შეუღლებულებს მათი ურთიერთობების სიმტკიცის შემოწმებაში ეხმარება. არცთუ იშვიათად ის, საპატარძლოების თხოვნით, საქმროსთვის ქორწილის წინა დღეს გართობის ორგანიზებას აწყობს და შემდეგ მის ქმედებას ფარულად აკვირდება.

კლიენტის შეკვეთით მან ლონდონის ცენტრში სტრიპტიზკლუბში შეაღწია, სადაც საქმრო უცოლობის ბოლოს დღეს ზეიმობდა.

რაიტი თვალს ადევნებდა, თუ როგორ ადიოდა საქმრო სცენაზე სტრიპტიზიორ გოგონებთან მათი გამოსვლის დროს, შემდეგ კი მან ექვსი მათგანი განცალკევებულ ოთახში მიიპატიჟა და მათთან სექსით დაკავდა. ინტიმური წვრილმანები რაიტმა ახლობლებისგან შეიტყო, რომლებიც ხმამაღლა მსჯელობდნენ იმაზე, რაც ხდებოდა.

— მეორე დღეს ყველაფერი მის საცოლეს მოვუყევი, — ხაზგასმით აღნიშნა ბრიტანელმა ქალბატონმა, — მან ქორწილი გააუქმა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საუდის არაბეთში; 2. ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; 3. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 5. ვაზის, ღვინის პატივსაცემი რიტუალი ძველად საქართველოში; 6. შვეიცარიელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 8. გერმანული ლუდი; 10. საყვარლის ხარჯზე მცხოვრები ადამიანი; 12. პერიოდული ბეჭდვითი გამოცემა; 14. ფეხბურთის იტალიელი გულშემატკივარი; 15. ფრანგული სამხედრო ავიაგამანადგურებლების სერია; 16. კვირა დღის ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. ჩხიკვის მეორე სახელწოდება; 4. სათადარიგოს, შემცვლელის ქართული სახელწოდება; 7. სუპერმარკეტების ქსელი საქართველოში; 9. მატყლით ან ბუმბულით დატენილი მოგრძო მრგვალი ბალიში; 11. არქიტექტურულად გაფორმებული შენობის მთავარი შესასვლელი; 12. მდინარე გაგრაში; 13. სისხლის ნებაყოფლობით გამღები ადამიანი; 17. კომპანია „მაიკროსოფტის“ მფლობელი; 18. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი — კომიკოსი; 19. პოლიტიკური პარტიის სამოქმედო პროგრამა; 20. სამონასტრო კომპლექსი თეთრიწყაროს რაიონში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

